გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№60 (955) 9 – 10 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პატიმრის დღიური

როგორ აყიდინეს დაჭერილ ბიზნესმენს პოლიციის მაღალჩინოსნისთვის BMW X5

გვ. 7

ნაცმოძრაობის უკრაინული ფულით დაფინანსების საიდუმლო სქემა

გვ. 3

რატომ განირეს ნაციონალებმა და ვის „ჩაუშვებს“ მიშა

გია ნოდია: „ხალხს მიხეილ სააკაშვილი მოენატრება!“

სასამართლი

უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტები გვ. 4

„ვისოლმა“ EBRD-ისგან 65-მილიონიანი სესხი მიიღო

გვ. 4

ევრობანკის დაფინანსებით, კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38 ახალ გაზგასამართ სადგურს ააშენებს

თიბისი ბანკი TBC BANK

მომხმარებელს ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს გვ. 5

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ესტუმრა გვ. 7

სპეცოპერაცია თუ მკვლელობა

რა მოხდა 2006 წლის 12 იანვარს ნავთლუღში

ინტერვიუ პროკურორ ნინო აღღემაშვილთან გვ. 5–6

გია ნოდია: „ხალხს მიხეილ სააკაშვილი მოენატრება!“

რუსუდან შელია
557-100-768

ამტკიცებს, მიხეილ სააკაშვილი ხალხს მოენატრებაო და იქვე დასძენს, რომ ნაციონალურ მოძრაობას რეორგანიზაცია სჭირდება და ლიდერის პრობლემა აქვს. ვის მიიჩნევს მართულ ოპოზიციად, შეძლებს თუ არა ყოფილი მმართველი გუნდი თვითგადარჩენას და როდის ჩამოვა ექსპრეზიდენტი საქართველოში? — „ვერსიას“ პოლიტოლოგი გია ნოდია ესაუბრა.



— ირაკლი ღარიბაშვილის მსგავსად, ბიძინა ივანიშვილიც ამბობდა, ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური რადარიდან აუცილებლად გაქრებაო. ამას მარტივი ახსნა აქვს — ხელისუფლება ღიად აფიქსირებს, რომ ძირითადი ოპოზიციური ძალის ამოძირკვასა და ბოლომდე განადგურებას ცდილობს. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ საზოგადოებას ეუბნება, რომ მკვეთრად დაპირისპირებული ძალა კი არა, მართული ოპოზიცია სურს.

— დღეს მართული ოპოზიცია ვინაა?

— კონკრეტულად ვერავის დავასახელებ, მაგრამ არაერთხელ მოგვისმენია, უმჯობესი იქნება, თუ ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციურ ფლანგზე ნინო ბურჯანაძე ჩაანაცვლებსო. ფაქტია, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რეიტინგს თანდათან კარგავს, თუმცა იმის აღიარებაც არ მიჭირს, რომ ეს პროცესი კატასტროფული სისწრაფით არ მიმდინარეობს. ხელისუფლება მაინც შფოთავს — ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გაიმარჯვებს, თუმცა ნაციონალურ მოძრაობას ვერ გაანადგურებს.

— რას გულისხმობთ, ყოფილი სახელისუფლო პარტია გარკვეულ რაიონებში გამარჯვებას შეძლებს?

— ნაციონალურ მოძრაობაში პრობლემებია და ამის დამალვას არც შევეცდები. ის, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევ ძალად რჩება, უკვე მიღწევაა, მაგრამ ლიდერობის კრიზისი აქვს — მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან წავიდა, პარტიის ძლიერი მენეჯერი ვანო მერაბიშვილი კი ციხეშია.

— არ ფიქრობთ, რომ მიხეილ სააკაშვილი ნაციონალურ მოძრაობას ყველაზე დიდ პრობლემას უქმნის?

— სააკაშვილი თავის დროს ელოდება. მან საკმაოდ უხერხული განცხადება გააკეთა, როცა ბრძანა, მაიდნით მოვალო, თუმცა სინამდვილეში, გულისხმობდა, რომ „ქართული ოცნება“ მმართველობას ცუდად დაამთავრებს. იგი ელოდება დროს, როცა საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება გაღრმავდება და ხალხს მოენატრება. აი, ეს არის სააკაშვილის ჩანაფიქრი. ახლა ხვდება, რომ მასზე ნადირობა დაიწყება და პროკურატურაში სიარული მოუწევს, საქართველოში ამიტომაც არ ჩამოდის.

— ექსპრეზიდენტი საზოგადოებას მოენატრება?

— სააკაშვილი 47 თუ 48 წლისაა, ამიტომ ხელისუფლებაში 5 ან თუნდაც 20 წელიწადში რომ დაბრუნდეს, საკმაოდ ახალგაზრდა იქნება, კვლავ ქვეყნის მმართველი რომ გახდეს. ისე, საზოგადოებას არაერთი ლიდერი მონატრებია, რომელიც გარკვეულ ეტაპზე არაპოპულარული იყო. თუ ხალხმა ნახა, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში ცხოვრება არ გაუმჯობესდა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობიდან კარგი გაახსენდება, ცუდს დაივიწყებს და სააკაშვილის ძებნას დაიწყებს. სააკაშვილი კი არა, ქართველებს კომუნისტები მოენატრათ, ხელისუფლებასაც სწორედ ამის ეშინია და შფოთავს.

— საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის მთავარი დასაყრდენი დასავლეთის მხარდაჭერა იყო. ამ კუთხით პარტიის ბერკეტი ხომ არ მოირყა?

— დასავლეთში, უკრაინის მოვლენების შემდეგ, საქართველოს მიმართ განწყობა შეიცვალა და გამოიკვეთა, რომ უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, როგორც ევროპული არჩევანის მსურველ ქვეყნებს, დასავლეთისგან მეტი აღიარება სჭირდებათ... ვერ ვიტყვი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ევროპული ორიენტაციის გასაღრმავებლად ბევრი გააკეთა, უბრალოდ, ეს ნაყოფი ხელში ჩაუვარდა და არ გადააგდო, შესაძლოა, წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, რომ არაევროპულად იქცეოდა, მაგრამ ამ ხელისუფლებასაც მსგავსი პრობლემა აქვს — ოპოზიციას ვერ იტანს. ბუნებრივია, ოპოზიციაც ამ შანსს ხელიდან არ უშვებს და ეს მისი მოვალეობაა. ამასობაში, რუსეთისგან პროვოკაციული ქმედებები იზრდება. მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს იყენებს. როცა რუსეთმა ყირიმი შეიერთა, მაშინვე გაჩნდა საფრთხე, რომ პუტინი აფხაზეთისა და ცხინვალის ტერიტორიების გადაფორმებასაც შეეცდება.

— „ქართულ ოცნებაში“ ამტკიცებენ, რომ მსგავსი საფრთხე არ არსებობს. ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვის საშიშროების წინაშე რეალურად ვდგავართ?

— რუსეთი სწორედ ამიტომ გვევაჭრება — თუ ევროპასთან ინტეგრაციას ხელს არ მოაწერთ, გადაწყვეტილებას გადავხედავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მნიშვნელოვან ზიანს მოგაყენებთო. ანქვაბი გარკვეულ საკითხებში პუტინს ეწინააღმდეგებოდა, ახალი დე ფაქტო ხელისუფლება კი რუსეთის მხრიდან ღიად მართულია.

— სექტემბერში ნატო-ს სამიტია დაგეგმილი. წინასწარ ვიცით, რომ მაპ-ს არ მიგვცემენ... საქართველოსადმი დასავლეთის მხარდაჭერა რაში გამოიხატება?

— ნატო-ს რამდენიმე წევრი ფიქრობს, რომ საქართველოს ტერიტორიული პრობლემები მათი თავისტკივილი გახდება, მაგრამ, როგორც ლიტვის მინისტრმა განაცხადა, ეს პრობლემა ისედაც გადაუწყვეტელია. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ ძალის გამოყენებით ტერიტორიების დაბრუნებას არ შეეცდება. ნატო-ში გაწევრიანების შემდეგ კი, საქართველო დასავლეთის გავლენის ქვეშ კიდევ უფრო მოექცევა და ავანტიურაზე არ წავა — რუსეთთან ომს არ დაიწყებს. ასე რომ, ევროპასთან მეტი ინტეგრაციის იმედი მართლა გაჩნდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გარანტიები გვაქვს. წარმატების მისაღწევად საქართველოს ხელისუფლებას მეტი თანმიმდევრულობა მოეთხოვება.

შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით ირანის მოქალაქე დააკავა

შსს-ს ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1971 წელს დაბადებული, ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე რაჰმან მ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს გონიოს დასახლებაში ერთ-ერთი სასტუმრო და ასევე ბათუმში ერთ-ერთი დისკო-კლუბი დროებით მფლობელობაში ჰქონდა. შსს-ს ინფორმაციით, რაჰმან მ. მის მფლობელობაში არსებულ ფართებს რამდენიმე თვის განმავლობაში, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის გადასცემდა. სასტუმროსა და დისკო-კლუბში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაიკითხნენ. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 254-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

სამართალდამცავებმა ნარკორეალიზატორი და მომხმარებელი დააკავეს

სამართალდამცველებმა 1975 წელს დაბადებული ირაკლი რ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, ხოლო 1973 წელს დაბადებული ლევან ბ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ირაკლი რ-ს პირადი ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალების 14 აბი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,112 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. ლევან ბ-ს საცხოვრებელი ბინის სარდაფის ჩხრეკისას კი ნარკოტიკული საშუალების 7 აბი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,056 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ირაკლი რ-ს მიმართ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით), ხოლო ლევან ბ-ს მიმართ – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

ცესკო-მ ნაციონალების კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრა

რვა ხმით ხუთის წინააღმდეგ, ცესკო-მ მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილება ძალაში დატოვა. ცესკო-ს თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას განმარტებით, კანდიდატი ვერ ამაყოფილებდა კანონის იმ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში უნდა ცხოვრობდეს.

ნაციონალური მოძრაობა და არასაპარლამენტო ოპოზიცია ცესკო-ს ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებს, რადგან, ანალოგიურ შემთხვევაში, ცესკო-მ რეგისტრაციიდან მოხსნა ირაკლი ოქრუაშვილი, „ქართული ოცნების“ ორ კანდიდატს კი რეგისტრაცია არ გაუუქმა.

„მოტივი და მნიშვნელოვანი საფუძველი იყო ის, რომ კანონით მოთხოვნილი ორი წლიდან დაახლოებით ერთი წელი კანდიდატი არ იმყოფებოდა საქართველოში, რაც შემეხება პირადად მე და ერთგვაროვან გადაწყვეტილებებს — მეც და ჩემმა მოადგილემაც ოთხივე შემთხვევაში მივიღეთ აბსოლუტურად ერთგვაროვანი გადაწყვეტილება და ოთხივე შემთხვევაში დავუჭირეთ რეგისტრაციიდან მოხსნას მხარი“, — განაცხადა თამარ ჟვანიამ.

აკმამედ იმამყულიევი ცესკო-ს გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ხათუნა გოგორიშვილის თქმით, ცესკო ხელისუფლების დირექტივას ასრულებს.

„ცესკო-მ დაამტკიცა, რომ პირდაპირ ასრულებს ხელისუფლების დირექტივებს ერთი მარტივი მიზეზისა და ფაქტის გამო, რომ ანალოგიურ შემთხვევაში სახელისუფლებო კანდიდატებთან მიმართებაში ცესკო-მ მიიღო განსხვავებული გადაწყვეტილება — მათ რეგისტრაცია არ გაუუქმა. ზუსტად იგივე ადამიანებმა დღეს ხელი აუწიეს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას“, — აღნიშნა გოგორიშვილმა.

აკმამედ იმამყულიევი რეგისტრაციიდან მარნეულის საოლქო კომისიამ რამდენიმე დღის წინ მოხსნა. კომისიის გადაწყვეტილებას პარტიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

„ინტერპრესნიუსი“

ახმეტაჰესის მშენებლობა დასრულდა

ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ახმეტის მუნიციპალიტეტში ახმეტაჰესის ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონიალს დაესწრო. პროექტი შპს „ჰიდროლეამ“ განახორციელა. ახმეტაჰესის დადგმული სიმძლავრე 9,4 მეგავატია, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი დაახლოებით 50 მილიონი კილოვატსაათი.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 9,8 მილიონი აშშ დოლარია. ინვესტიცია ბულგარულმა კომპანია „ჰიდროლეამ“ ადგილობრივი ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანადაფინანსებით განახორციელა.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2013 წლის ივლისში დაიწყო. მშენებლობის პერიოდში სხვადასხვა ეტაპზე დასაქმდა 250 ადამიანი, მათ შორის 150 ადგილობრივი მოსახლე. ამჟამად, სადგურის პერსონალი 8 მუდმივ და 12 დროებით დაქირავებულ თანამშრომელს მოიცავს, რომელთა შორის უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

ელექტროსადგურში დამონტაჟებულია ავსტრიული კომპანია ANDRITZ HYDRO-ს მიერ მოწოდებული უმაღლესი ხარისხის ევროპული მოწყობილობები, ხოლო სადგურის საპროექტო სამუშაოები შესრულებული აქვს საერთაშორისო საპროექტო კომპანია STUCKY-ს.

ელექტროსადგურში ასევე დამონტაჟებულია თანამედროვე ინფორმაციის გადაცემისა და მართვის სისტემა SCADA, რომელიც საშუალებას იძლევა ყველა ოპერაციის ავტომატიზირებისა და კომპიუტერული მართვისთვის.

„მედიანიუსი“

ნაცმოძრაობის უკრაინული ფულით დაფინანსების საიდუმლო სქემა

რატომ განირეს ნაციონალებმა და ვის „ჩაუშვებს“ მიშა

გიორგი გიორგაძე

ზუსტად იმ დროს, როცა ზუგდიდსა და ქუთაისში ყოფილი მმართველი პარტიის ისეთ აქტივისტებს, როგორებიც გია ბარამიძე, გიგა ბოკერია და თენგიზ გუნავა არიან, ხალხი ქვებით უსწორდება, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან „გვმოძღვრავს“, ესაო, ისაო, მზად ვარ, საქართველოს ახალ მთავრობასა და პრემიერს სასიკეთო რჩევები მივცეო... ისე, ყურადღება თუ მიაქციეთ, ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას, მიშას ყასიდადაც არ გასჩენია სურვილი, თავისი „გასილაქებული“ თანამებრძოლები დაეცვა, რამაც კიდევ ერთხელ გაამყარა მოარული ხმა, რომ ნაციონალები მიშასგან გამიჯვნას ცდილობენ.

რატომ გახდა მიხეილ სააკაშვილი ნაცმოძრაობისთვის ზედმეტი ტვირთი? — ამ კითხვაზე პასუხი, ერთი შეხედვით, მარტივია — ნაციონალები თავის გადარჩენას ცდილობენ. ამ შემთხვევაში კი, ყველა იმ უბედურების სხვისთვის ანუ მიშასთვის გადაბრალება ყველაზე კარგი გამოსავალია.

მოკლედ, სააკაშვილი თავისივე თანაგუნდელებისთვის განტევების ვაცია, მაგრამ ეს იმას როდის ნიშნავს, რომ მიშა ყველაფერს საკუთარ თავზე აიღებს და, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თავის პოლიტიკურ და-ძმებს არ „ჩაუშვებს“. ჩვენთვის რომ ვთქვათ, სააკაშვილმა, რომელსაც ოჯახის გამოსაკვებად, თურმე, სასწრაფოდ სამსახური სჭირდება, ნაციონალები უკვე „ჩაუშვა“ და აი, რატომ:

„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც სამართალდამცავებმა თბილისის მერყოფილის, გიგი უგულავას ქვისლი, ღონიაშვილი „ქეში“ 160 ათასი დოლარით დააკავეს, ნაციონალური მოძრაობა სერიოზული ფინანსური კრიზისის წინაშე დადგა.

წყაროს ვერსიით, ნაციონალები უგულავას ქვისლს ბოლომდე არ ენდობოდნენ, შესაბამისად, ფულის შოვნის ანუ პარტიის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებზე „ჩალიჩობდნენ“ და უკრაინის მოვლენებმაც ბედზე მოუსწრო.

„ვერსიის“ შეკითხვაზე, თუ რა შუაშია უკრაინის მოვლენები ნაციონალური მოძრაობის ფინანსებთან, წყარო მრავალმნიშვნელოვნად იღიმის და ორაზროვნად კითხულობს:

„თქვენ, რა, მართლა გგონიათ, რომ კიევში ექსპერტებად გამგზავრებულ ნაცებს გული უკრაინაზე შესტკივათ? ისე, მიშამ თავის ბოლო ინტერვიუში, პრაქტიკულად, აღიარებითი ჩვენება მისცა, როცა განაცხადა, ჩემი თანამებრძოლების დიდი ნაწილი უკრაინაშია ჩამოსული და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში კონსულტანტად მუშაობსო. ვიდრე მიშა ამ განცხადებას გააკეთებდა, ცნობილი მხოლოდ ის იყო, რომ კიევში გიორგი ვაშაძე, დავით სიხარულიძე და კიდევ რამდენიმე მკვეთრად პროდასავლური მსოფლმხედველობის ნაციონალი იმყოფებოდა.

— უკაცრავად, პროდასავლურობას ხაზს რატომ უსვამთ?

— რა, არ გაგიგიათ, რომ ნაციონალური მოძრაობაში რამდენიმე დაჯგუფებაა? აქედან, ის „სასტავი“, რომლის ატამანებიც გიგა ბოკერია და გიგი უგულავა არიან, მთლიანად აშშ-ზეა ორიენტირებული. ამავე ჯგუფში შედიან გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, ირმა ნადირაშვილი... დავით ბაქრაძეც ამერიკელების გავლენის ქვეშაა, რასაც გივი თარგამაძე ზე ვერ ვიტყვი“.

წყაროს ვერსიის მიხედვით, ნაციონალური მოძრაობის რებრენდინგი სწორედ აშშ-ის ე.წ. ლიბერალურ პოლიტიკურ წრეებში გადაწყდა. ცნობილია, რომ „ვარდების რევოლუციასა“ და მის წინამორბედ მოვლენებში ფულს სოროსი დებდა. ამერიკელებს, როგორც ამბობენ, ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა არ სჩვევიათ. შესაბამისად, ისევ ოპოზიციაში გადასულ ნაცებს ღიად არ დააფინანსებდნენ. ამიტომ, როგორც „ვერსიის“ წყარო ეჭვობს, პროდასავლური ორიენტაციის ნაციონალები კიევში, მრჩევლებისა თუ ექსპერტების სტატუსით, სწორედ ამერიკელებმა გადაისროლეს.

ახლა, რაც შეეხება უკრაინული ფულით ყოფილი მმართველი გუნდის დაფინანსებას, წყაროს ვერსიით, სქემა ასეთია:

საკონსულტაციო მომსახურეობა, როგორც წესი, ძალიან ძვირი სიამოვნებაა. შესაბამისად, კიევში „გადატყორცნილი“ ნაციონალები პოროშენკოსა და მის პოლიტიკურ გუნდს, ცხადია, ლამაზი თვალების გამო უფასოდ არ მოემსახურებიან. შესაბამისად, ლაპარაკი შესაძლოა, რამდენიმენულიან ანაზღაურებაზე იყოს.

ერთი სიტყვით, გაექსპერტებული ნაცი, როგორც ექსპერტი, უკრაინის მთავრობისგან თვეში, ვთქვათ, 10 ან 15 ათას დოლარს აიღებს და საქართველოში ჯიბეგასქელებული დაბრუნდება. ჩვენი კანონმდებლობით, უცხოეთში საკუთარი შრომით ნაშოვნი ფულის საქართველოში შემოტანა არ იკრძალება. ასევე, აკრძალული არ არის, რომ პიროვნებამ თავისი ოფლით ნაშოვნი „მწვანეები“ რომელიმე პარტიას შესწიროს.

მართალია, კანონით, ერთ პიროვნებას, წელიწადში, პარტიის დაფინანსება მხოლოდ 60 ათასით შეუძლია, მაგრამ ვინ ან როგორ დაადგენს, რომ გაექსპერტებულმა ნაცებმა „მშობლიურ პარტიაში“ ფული „ქეშად“ არ მიიტანეს?

ასე და ამგვარად, „ოცნებამ“ ნაციონალთა ღონიაშვილები სულ ბითუმად რომ დაიჭიროს, ყოფილ მმართველ პარტიას, ზემოხსენებული სქემიდან გამომდინარე, ფინანსურ არხებს მაინც ვერ გადაუკეტავს.

ნაციონალური მოძრაობის უკრაინული ფულით დაფინანსების საიდუმლო სქემის ვერსიას კიდევ ერთი გარემოება ამყარებს — როგორც ცნობილი გახდა, კახა ბენდუქიძე შესაძლოა, კიევში „გადაცხოვრდეს“, სადაც ეკონომიკური საბჭოს წევრის ამპლუაში იმოღვაწევებს. ბენდუქიძის კარიერაში რუსული ბეგრაუნდი არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ევროპული ლიბერალიზმის მიმდევრად ითვლება. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბენდუქიძეს პრივატიზაციისა და ეკონომიკის აღორძინების საკუთარი თეორია აქვს, რომელი თეორიითაც, ზოგიერთი ეკონომისტის რწმენით, ქართული ეკონომიკა დაღუპა. სხვათა შორის, ბენდუქიძე საქართველოში სწორედ პოსტრევოლუციურ ეპოქაში გამოჩნდა. უკრაინაშიც, პრაქტიკულად, პოსტრევოლუციური ეპოქა დგას... ისე, სულაც არაა გამორიცხული, უკრაინის ახალ ხელისუფლებას ნაციონალების ექსპერტებად აყვანა ამერიკელებმა კი არა, სწორედ ბენდუქიძემ ურჩია...

მართალია, პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობა რადარიდან ქრება, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ანუ ამერიკელების ფაქტორი — ოკეანისგაღმელი პოლიტიკური ელიტა, უფრო სწორედ, ელიტის ერთი ფრთა ყველაფერს გააკეთებს, რათა ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური სუბიექტი, რადარზე არათუ დარჩეს, არამედ მძლავრი ოპოზიციური პარტიის იმიჯიც შეინარჩუნოს. სწორედ ამით აიხსნება ნაცმოძრ დაწყებული რებრენდინგი და ყველა ოდიოზური ფიგურისგან გაწმენდის მცდელობა. „გაწმენდის“ ყველაზე თვალშისაცემი მაგალითი კი ის გახლავთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინ, ნაცმოძრაობის ე.წ. ჰედ ოფისის უკანა კედლიდან თავის დროზე დიდი „ცამპა-რუმპათი“ გაკრული ვანო მერაბიშვილის უშველებელი პლაკატი ჩამოხსნეს. მართალია, ბოკერია-უგულავას ფრთა პერიოდულად მერაბიშვილსაც ახსენებს და ძმებ ახალაიებსაც, მაგრამ ეს, როგორც „ვერსიის“ წყაროები ამბობენ, ჩვეულებრივი პოლიტიკური ტრიუკია და მეტი არაფერი ანუ არჩევნების წინ რებრენდირებულ ნაციონალურ მოძრაობას თუნდაც მსოფლიოს დასანახად სჭირდება „წამებულის მანტიის“ მოსხმა, თორემ უგულავასა და ბოკერიას მერაბიშვილ-ახალაიები სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, თურმე...

თომას ჰამარბერგი გამოძიების ჩატარებას ითხოვს

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგის განცხადებით, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიმართ ზეწოლასთან დაკავშირებულ ინფორმაციებზე ოპერატიული და გულდასმითი გამოძიების ჩატარება უნდა მოხდეს.

როგორც ჰამარბერგმა განაცხადა, ეს აუცილებელია, რათა საარჩევნო გარემოს „სამართლიანობის შესახებ ზოგადი სურათი არ დაზარალდეს“:

„წინა არჩევნები გამორჩეული იყო სამართლიანობით. რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა მცირე ინციდენტებს, თუმცა არ დაზარალებულა სამართლიანობის ზოგადი სურათი. აუცილებელია იგივე სტანდარტის ახლაც შენარჩუნება. როგორც ვრცელდება ინფორმაცია, გარკვეული კანდიდატების მიმართ ზეწოლას ახლაც აქვს ადგილი, რის გამოც ძალიან მნიშვნელოვანია, პოლიციისა და შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან ოპერატიული და გულდასმითი გამოძიების ჩატარება მოხდეს, რათა ყველამ დაინახოს, რომ ასეთი ქმედებები არ არის მოწონებული და არ დაზარალდეს საარჩევნო გარემოს სამართლიანობის შესახებ ზოგადი სურათი“.

მისივე განმარტებით, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით შთაბეჭდილება დადებითია და იმედოვნებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც მაქსიმალურად სამართლიანად ჩატარდება.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს საგარეო უწყება თურქეთისგან ახსნა-განმარტებას ელის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ოკუპირებულ აფხაზეთში თურქეთის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტთან დაკავშირებით, თურქულ მხარეს ახსნა-განმარტებას მოსთხოვს, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, დავით ზალკალიანმა განუცხადა:

„ძალიან ვწუხვართ და გაკვირვებულები ვართ ამ ვიზიტით. უკვე გვაქვს კომუნიკაცია თურქეთის ოფიციალურ ხელისუფლებასთან. გამომდინარე იქიდან, რომ თურქეთი არის ჩვენი პარტნიორი ქვეყანა და განუხრელად უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს, ეს ფაქტი ჩვენს გაოცებას იწვევს“.

მისივე თქმით, საქართველოს საელჩოს ანკარაში უკვე მიეცა ინსტრუქცია, დაუყოვნებლივ გადადგას შესაბამისი დიპლომატიური ნაბიჯები და მოითხოვოს ახსნა-განმარტება თურქეთის მხარისგან.

გარდა ამისა, საქართველოში თურქეთის ელჩი გამოძახებული იქნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და მასაც მოეთხოვება შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ: აფხაზეთში თურქეთის საპარლამენტო დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციის შემადგენლობაში, დეპუტატებთან ერთად, იმყოფებიან თურქეთის ქალაქ საქარიას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ამავე ქალაქის უნივერსიტეტის რექტორი, სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელის მოადგილე, აფხაზური კულტურული ცენტრის თავმჯდომარე და კავკასიის კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი.

„ინტერპრესნიუსი“

„ვისოლმა“ EBRD-ისგან 65-მილიონიანი სესხი მიიღო

ამიერიდან „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ მომხმარებელს უფრო სუფთა და უსაფრთხო საწვავს შესთავაზებს — „ვისოლს“ ევრობანკმა (EBRD) 65 მილიონი აშშ დოლარის სესხი ბენზინის ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივის მოხმარების სტიმულიერებისთვის გამოუყო. „ვისოლი“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელიც სინდიცირებულ სესხს მიიღებს. სესხი ორკომპონენტიანია: A კატეგორიის კრედიტს, 40 მილიონ აშშ დოლარს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გამოყოფს, ხოლო B კატეგორიის 25 მილიონდოლარიან კრედიტს — ჰოლანდიის განვითარების ბანკი.

კომპანია, ევრობანკის დაფინანსებით, კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38 ახალ გაზგასამართ სადგურს ააშენებს

მხარეებმა შესაბამის ხელშეკრულებას ხელი „რადისონ ბლუ ივერიაში“, საგანგებო ბრიფინგზე მოაწერეს და განმარტეს, რომ სინდიცირებული სესხი მოხმარდება „ვისოლის“ ამბიციურ საინვესტიციო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38-მდე ახალი გაზგასამართი სადგურის გახსნას. პროექტი ხელს შეუწყობს, „ვისოლის“ სადგურები შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით მაღალ სტანდარტებს. ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის დაფინანსებით „ვისოლს“ ჩატარებული აქვს ენერგოაუდიტი, რომელიც „კორპორატიული სექტორისთვის ენერგიის დამზოგავი პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

საგანგებო ბრიფინგს „ვისოლის“, EBRD-ისა და ჰოლანდიის განვითარების ბანკის წარმომადგენლების გარდა, ჰოლანდიის ელჩი საქართველოში, ასევე საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავაც ესწრებოდნენ. პროექტზე შეთანხმების დოკუმენტზე ხელმოწერის დღეს, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ „უმნიშვნელოვანესი“ უწოდა და ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები 2 წელიწადს გრძელდებოდა.

სოსო ფხაკაძე: „გვეამაყება, რომ ვართ კორპორატიულ სექტორში პირველი ქართული კომპანია, რომელმაც სინდიცირებული სესხი მიიღო. შეთანხმებამდე მოლაპარაკებებს 2 წელი ვაწარმოებდით. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებელს უფრო სუფთა, უსაფრთხო საწვავი და გავაუმჯობესოთ ენერგოეფექტურობა ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში. მადლობა EBRD-სა და ჰოლანდიის განვითარების ბანკს „ვისოლის“ უმაღლესი ხარისხისკენ სწრაფვის განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის. ამ პროექტის განხორციელება არა მხოლოდ „ვისოლისთვის“, ზოგადად ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

„ვისოლისთვის“ 65 მილიონდოლარიანი სესხის გამოყოფა ამიერიდან „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ მომხმარებელს უფრო სუფთა და უსაფრთხო საწვავს შესთავაზებს — „ვისოლს“ ევრობანკმა (EBRD) 65 მილიონი აშშ დოლარის სესხი ბენზინის ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივის მოხმარების სტიმულიერებისთვის გამოუყო. „ვისოლი“ პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელიც სინდიცირებულ სესხს მიიღებს. სესხი ორკომპონენტიანია: A კატეგორიის კრედიტს, 40 მილიონ აშშ დოლარს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გამოყოფს, ხოლო B კატეგორიის 25 მილიონდოლარიან კრედიტს — ჰოლანდიის განვითარების ბანკი.

მხარეებმა შესაბამის ხელშეკრულებას ხელი „რადისონ ბლუ ივერიაში“, საგანგებო ბრიფინგზე მოაწერეს და განმარტეს, რომ სინდიცირებული სესხი მოხმარდება „ვისოლის“ ამბიციურ საინვესტიციო პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი კომპრესირებული ბუნებრივი აირის 38-მდე ახალი გაზგასამართი სადგურის გახსნას. პროექტი ხელს შეუწყობს, „ვისოლის“ სადგურები შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით მაღალ სტანდარტებს. ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმის დაფინანსებით „ვისოლს“ ჩატარებული აქვს ენერგოაუდიტი, რომელიც „კორპორატიული სექტორისთვის ენერგიის დამზოგავი პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

საგანგებო ბრიფინგს „ვისოლის“, EBRD-ისა და ჰოლანდიის განვითარების ბანკის წარმომადგენლების გარდა, ჰოლანდიის ელჩი საქართველოში, ასევე საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავაც ესწრებოდნენ. პროექტზე შეთანხმების დოკუმენტზე ხელმოწერის დღეს, „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ „უმნიშვნელოვანესი“ უწოდა და ჟურნალისტებს ისიც გაუმხილა, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკებები 2 წელიწადს გრძელდებოდა.

სოსო ფხაკაძე: „გვეამაყება, რომ ვართ კორპორატიულ სექტორში პირველი ქართული კომპანია, რომელმაც სინდიცირებული სესხი მიიღო. შეთანხმებამდე მოლაპარაკებებს 2 წელი ვაწარმოებდით. ეს პროექტი საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ მეტი სამუშაო ადგილი, შევთავაზოთ ჩვენს მომხმარებელს უფრო სუფთა, უსაფრთხო საწვავი და გავაუმჯობესოთ ენერგოეფექტურობა ჩვენ ყოველდღიურ საქმიანობაში. მადლობა EBRD-სა და ჰოლანდიის განვითარების ბანკს „ვისოლის“ უმაღლესი ხარისხისკენ სწრაფვის განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის. ამ პროექტის განხორციელება არა მხოლოდ „ვისოლისთვის“, ზოგადად ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია“.

„ვისოლისთვის“ 65 მილიონდოლარიანი სესხის გამოყოფა ქვეყნის ეკონომიკისთვის რომ მნიშვნელოვანია, ამაზე მთავრობის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს.

გიორგი კვირიკაშვილი: „მოხარული ვარ, ასეთი უპრეცედენტო პროექტი წარმატებით რომ შედგა. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში, მთავრობის პრიორიტეტია.სწორედ ამიტომ შევქმენით ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების სააგენტო და ამ მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევით ვმუშაობთ. მისასალმებელია, რომ ბუნებრივი რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიები შემოდის. ასევე ზოგადად საქართველოს ეკონომიკისთვისაა უმნიშვნელოვანესი, 65 - მილიონიანი სესხი, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდა ძლიერ კოლერაციაშია უცხოურ ინვესტიციებთან. კარგია, რომ ახალი 38 თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი გაზგასამართი სადგური აშენდება საქართველოში — ეს საშუალებას მისცემს ჩვენ მომხმარებელს, დაზოგონ ფული და ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიით ჩატუმბონ გაზი ავტოსაშუალებებში. ეს შეთანხმება, უპრეცედენტო სინდიცირების მაგალითია და კარგი იქნება, „ვისოლს“ სხვა კომპანიებიც თუ მიბაძავენ“.

ევრობანკის კავკასიის, მოლოდოვასა და ბელორუსის რეგიონულმა დირექტორმა **ბრუნო ბალვანერამ** კი, პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ისიც განაცხადა, რომ „ვისოლი“ EBRD-ის წლების პარტნიორია: **„ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. „ვისოლთან“ დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს. გვახარებს ამ ახალი პროექტისა და ჩვენი დიდი ხნის პარტნიორის, „ვისოლის“ მხარდაჭერის შესაძლებლობა საწვავის თანამედროვე საცალო ბაზრის განვითარების პროცესში. ეს პროექტი უზრუნველყოფს, რომ ქართველმა მომხმარებელმა ბენზინის უფრო ეკონომიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ალტერნატივის გამოყენება შეძლოს“.**

საინვესტიციო პროგრამა შეესაბამება ევრობანკის სტრატეგიას დააფინანსოს საწვავის მაღალხარისხიანი, დამოუკიდებელი საცალო-სარეალიზაციო ობიექტების განვითარება-გაფართოება, სექტორში კონკურენციის გაზრდის პარალელურად. პროგრამა ასევე ასახავს ევრობანკის მიზანს კერძო სექტორის სტიმულირებისა და საუკეთესო გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ნაწილში.

ნინო ლურსმანაშვილი

სამართალი

უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტები

სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი და პრიორიტეტული მიმართულება გადაწყვეტილებათა მაღალი სტანდარტით დასაბუთებულობა გახლავთ.

ახალი პროექტების პრეზენტაცია მოსამართლეებისთვის „მართლმსაჯულების სახლში“

მოსამართლის მიერ მაღალი ხარისხით დასაბუთებული და არგუმენტირებული გადაწყვეტილება, საბოლოო ჯამში, სასამართლოს მიმართ არა მარტო მოქალაქეთა ნდობას გაზრდის, არამედ მაღალი დონის სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს და სასამართლო იმიჯსაც ქმნის, თუ როგორს - ეს გადაწყვეტილებათა ხარისხზეა დამოკიდებული.

უზენაეს სასამართლოში მოქმედი ადამიანის უფლებათა ცენტრი ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს. ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანები გახლავთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პოპულარიზაცია, რომელიც მოიცავს ყოველწლიური კრებულის მომზადებას და ელექტრონული ბაზის წარმოებას. ასევე, მოსამართლეთა ინფორმირებულობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე, ამ მიმართულებით თემატური კვლევების წარმოებას და მოსამართლეებისთვის პრეცედენტის დამდგენ გადაწყვეტილებებზე პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდებას.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ფუნქციონირებს 1999 წლიდან. 2009 წლიდან ცენტრი ყოველწლიურად გამოსცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს საქმეებზე გამოტანილი ქართულად ნათარგმნი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კრებულს - ასევე, შერჩეულ განჩინებათა კრებულს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ ბოლო პერიოდში ორი მნიშვნელოვანი ელექტრონული პროგრამა შეიქმნა. პირველი, ეს არის, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს მოიძიონ სტრასბურგის სასამართლოს ქართულად ნათარგმნი საქმეები. ამ ეტაპზე თარგმნილია 400-მდე საქმე. უზენაეს სასამართლოში არსებულ ადამიანის უფლებათა ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობს სხვა საქმეების თარგმნა. პროექტის მიზანია მოსამართლეთა და მხარეთა მიერ საქართველოს სასამართლოებში სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების სიხშირის გაზრდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისტემა საშუალებას იძლევა მოიძებნოს საქმეები როგორც მათი ტექსტობრივი შემადგენლობის მიხედვით, ასევე ისეთი ფილტრების მეშვეობით, როგორებიცაა მუხლი, სამართლებრივი საკითხი, გადაწყვეტილების მიღების დრო, ქვეყანა და ა.შ. უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებთანაც. შეიქმნა სარედაქციო კოლეგია, რომელიც ახალ გადაწყვეტილებებზე იმუშავებს. სარედაქციო კოლეგია ტერმინთა უნიფიცირებაზეც მუშაობს.

მეორე პროგრამა - საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებებისა და აქტების კატალოგია, რომლის მიზანია გაზარდოს საქართველოს სასამართლოებში მოსამართლეებისა და მხარეების მიერ საერთაშორისო აქტების გამოყენების სიხშირე. მოსამართლეებს, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ პირებს, უზენაესი სასამართლოს საიტზევე ექნებათ საშუალება იხილონ თემატურად დალაგებული საერთაშორისო სამართლის აქტები ქართულ და ინგლისურ ენაზე. აქტების კატალოგი მოიცავს ძირითად უფლებებთან, სისხლის სამართალთან, ქალთა და ბავშვთა უფლებებთან, გარემოს დაცვასთან, ისევე როგორც ეკონომიკურ და კულტურულ სამართალთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს.

პროექტს ახორციელებს შპს „ბესთკომპანი ჯორჯია“
ელ-ფოსტა: bestcompany_z@yahoo.com

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „ჩვენი ამოცანა ადგილწარმოშობის მაღალ დონეზე დაცვაა!“

„ჩვენი ამოცანაა ხარისხისა და ადგილწარმოშობის მაღალ დონეზე დაცვა, რათა ვებრძოლოთ ფალსიფიკაციას და უნიკალურმა რაჭულმა ღვინოებმა, უპირველეს ყოვლისა, ხვანჭკარამ, შეძლოს თავისი განუმეორებელი სახის შენარჩუნება“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბუგეულის ღვინის ქარხანაში სტუმრობისას განაცხადა.

მთავრობის მეთაური ქარხანაში საწარმოო პროცესს სოფლის მეურნეობის მინისტრ შალვა ფიფიასთან ერთად გაეცნო და მეღვინეებს გაესაუბრა. მეღვინეებმა პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადეს და განაცხადეს, რომ შარშან რთველმა ძალიან კარგად ჩაიარა და წინა წლებთან შედარებით წარმოება რამდენჯერმე გაიზარდა, მათ ასევე ირაკლი ღარიბაშვილს მიანოდეს ინფორმაცია, რომ მთავრობის პროგრამების დახმარებით ახალი ვენახებიც გაშენდა. მეღვინეების დაინტერესება გამოიწვია პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებულმა პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“, რომელიც, მათი განცხადებით, წარმოების გაზრდაში დაეხმარება.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მზარდი წარმოება ნიშნავს, სახელმწიფო მეტად იზრუნებს ქვეყნის გარეთ არსებული ბაზრის გაზრდასა და არსებულის შენარჩუნებაზე, ასევე განაგრძობს ყველა იმ პროგრამას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებას ისახავს მიზნად.

„ჯი-ეიჩ-ენი“

სპეცოპერაცია თუ მკვლელობა — რა მოხდა 2006 წლის 12 იანვარს ნავთლუღში

გიორგი იაშვილი

2014 წლის 6 ივნისს, საქალაქო სასამართლოში ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმის სასამართლო განხილვა დაიწყო. 2006 წლის 12 იანვარს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას სამი ახალგაზრდის სიცოცხლე ემსხვერპლა. რვა წლის წინ გავრცელებული ინფორმაციით, შოთა გორგაძე, მარად ართმელაძე და რომან სურმანიძე ციხიდან პატიმრების გაქცევას უკეთებდნენ ორგანიზებას და სამართალდამცველებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რა დროსაც მათი ლიკვიდაცია მოხდა. 2006 წლის 12 იანვარს, თბილისის პროკურატურაში საქმე კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე აღიძრა. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაში 2013 წელს შევიდა და გამოძიების მსვლელობისას გამოიკვეთა დავით ახალაიას მიერ მკვლელობის ორგანიზება და დანაშაულში კუდ-ის მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობა. ე.წ. ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეს ისევე, როგორც სხვა საქმეებს, სადაც ახალაიები ფიგურირებენ, დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ახალაიების ახლობლები პროკურატურას მოწმეების ზეწოლაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ბრალდებას რეალური მტკიცებულებები არ აქვს. სასამართლოს პირველ სხდომაზე პროკურორმა შესავალი სიტყვა წარმოთქვა და მოკლედ აღწერა, თუ რა მოხდა რვა წლის წინ ნავთლუღში. სასამართლო პროცესზე პროკურატურამ, ასევე, წარადგინა კომპიუტერული გრაფიკა, სადაც 2006 წლის 12 იანვრის მოვლენებია ასახული. პროკურორმა იმ მტკიცებულებებზეც ისაუბრა, რომელთა მიხედვითაც უტყუარადაა დადასტურებული, რომ სამი უდანაშაულო ახალგაზრდის სიცოცხლე ახალაიებისა და მათი თანამზრახველების პირად ამბიციებს შეეწირა. „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ საქმის გამოძიებაზე პროკურორ ნინო აღლემაშვილს ვესაუბრეთ.

— 8 წლის წინ, სამი ახალგაზრდის ლიკვიდაციას სპეცოპერაციის შედეგი უწოდეს. დღეს კი, გამოძიებამ მომხდარი მკვლელობად შეაფასა. რა მოხდა სინამდვილეში 2006 წლის 12 იანვარს ნავთლუღში?

— აღნიშნულ საქმეზე გამოძიება აქტიურ ფაზაში 2013 წელს შევიდა და გამოძიებით დადგინდა: 2006 წლის იანვარში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბაჩანა ახალაიამ რუსთავის №1 დაწესებულების პატიმრის, გია გორგაძისგან შეიტყო, რომ ამავე დაწესებულების პატიმარს, დავით ლექთაძეს ციხიდან გაქცევა სურდა. აღნიშნული ინფორმაცია ბაჩანა ახალაიამ თავის ძმას, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორს, დავით ახალაიას მიაწოდა. დავით ახალაიამ კი, გამოძიების დაწყების ნაცვლად, დანაშაულებრივი გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, გია გორგაძის ძმა და მისი ორი მეგობარი ნავთლუღის ავტოსადგურის ტერიტორიაზე უნდა შეეტყუებინათ და მათი ლიკვიდაცია მოეხდინათ. გია გორგაძე, რომლისთვისაც უცნობი იყო ახალაიას რეალური გეგმა, 2006 წლის 12 იანვარს, ძმას, შოთა გორგაძეს ტელეფონით დაუკავშირდა და თბილისში ჩამოსვლა სთხოვა, თან აუხსნა, რომ მისი მეგობარი ჩანთას გადასცემდა, რომელიც დავით ლექვთაძის ძმისთვის უნდა მიეცა.

შოთა გორგაძე ორ მეგობართან — მარად ართმელაძესა და რომან სურმანიძესთან ერთად, თბილისში წალკის რაიონიდან ჩამოვიდა (ისინი წალკის რაიონში ნათლობაზე იმყოფებოდნენ). მათ ფონიჭალაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მეორე სამმართველოს თანამშრომელი ალექსანდრე სუმბაძე ამავე სამმართველოს უფროსის, გიორგი დგებუაძის, იგივე „მასტერას“ დავალებით, ავტომანქანით შეხვდა. დავალების მიხედვით, სუმბაძეს ისინი თბილისის ქუჩებში სამი საათის განმავლობაში უნდა ეტარებინა, შემდეგ კი, ნავთლუღის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დაეტოვებინა. ამ დროის განმავლობაში, დათა ახალაიას ორგანიზებით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები ნავთლუღის ავტოსადგურთან ახლოს, სხვადასხვა ადგილას განლაგდნენ.

როცა შოთა გორგაძე, მარად ართმელაძე და რომან სურმანიძე ავტომანქანიდან გადმოვიდნენ, მათთან ახლოს, ორი შავი ჯიპი გაჩერდა, საიდანაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შეიარაღებული თანამშრომლები, მათ შორის — დავით ახალაია, გიორგი მაზმიშვილი, ლევან ქარდავა, გიორგი დგებუაძე გადმოვიდნენ და ახალგაზრდებს ავტომატების სროლით დაედევნნენ. სროლის შედეგად დაჭრილი შოთა გორგაძე და მისი მეგობრები ძირს დაეცნენ. დავით ახალაიამ ძირს დაცემულ შოთა გორგაძეს ავტომატის ლულა თავზე მიაბჯინა და ესროლა. ხელმძღვანელის ქმედებას მიბაძეს გიორგი მაზმიშვილმა და გიორგი დგებუაძემაც — მაზმიშვილმა მარად ართმელაძეს მიბჯენით ყელში, დგებუაძემ კი სურმანიძეს თავში ესროლა.

— როგორც ცნობილია, შემთხვევის ადგილზე, გვამებთან ცეცხლსასროლი იარაღია აღმოჩენილი, ეს იარაღი გარდაცვლილებს ეკუთვნოდათ?

— დანაშაულის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებით დადგენილია, რომ სამი ახალგაზრდის მკვლელობის შემდეგ, დავით ახალაიას ორგანიზებით, შემთხვევის ადგილზე მყოფმა კუდ-ის თანამშრომელმა სამივე გვამს, სათითაოდ, გვერდით, სამი ავტომატი დაუდო. სწორედ ეს ავტომატები ამოიღეს შემთხვევის ადგილზე მომხდარიდან ნახევარ საათში მისულმა გამომძიებლებმა.

— სახელმწიფო ბრალდება რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ 2006 წლის 12 იანვარს მოხდა მკვლელობა და ეს არ იყო სპეცოპერაცია?

— გამოძიების მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები ცალსახად ცხადყოფს, რომ ეს სპეცოპერაცია კი არა, წინასწარ დაგეგმილი და ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობაა. ამაზე მეტყველებს თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებიც, რომლებმაც საკუთარი თვალით ნახეს, თუ როგორ ჩაცხრილეს ავტომატებით შოთა გორგაძე, მარად ართმელაძე და რომან სურმანიძე ბრალდებულებმა — დავით ახალაიამ, გიორგი მაზმიშვილმა, გიორგი დგებუაძემ და ლევან ქარდავამ. გარდა ამისა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომან სურმანიძეს სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ხუთი ჭრილობა აღენიშნებოდა, ამათგან ერთის, თავის არეში არსებული ჭრილობის არხი ზევიდან ქვევით მიემართება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თავში ძირს დაცემის შემდეგ ესროლეს. ასევე, 5 ტყვია აქვს მოხვედრილი მარად ართმელაძეს, მათ შორის, — ორი ყელის არეში. რაც შეეხება შოთა გორგაძეს, მას სხეულზე 12 ნატყვიარი ჰქონდა, მათ შორის — თავის არეში არსებული ჭრილობის არხი მიემართება ზევიდან ქვევით, რაც ასევე უტყუარს ხდის, რომ მის მიმართ საკონტროლო გასროლაა განხორციელებული, მოწმეების ჩვენებებით, უშუალოდ დავით ახალაიას მიერ.

დასასრული მე-6 გვერდზე

თიბისი ბანკი მომხმარებელს ინოვაციურ პროდუქტს სთავაზობს



მიამაგრეთ Pay Sticker სასურველ ნივთს, მიიტანეთ სტიკერი ტერმინალთან და... გადახდაც შესრულებულია!

პირველად, საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თიბისი ბანკმა, მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტი — Pay Sticker შესთავაზა. ექსკლუზიური პროდუქტი, როგორც გადახდის უსწრაფესი და ყველაზე მოხერხებული საშუალება, მომხმარებლების დამატებითი კომფორტისთვისაა შექმნილი. Pay Sticker ტექნოლოგიური სიახლეა, ესაა ტრანზაქცია პლასტიკური ბარათის გარეშე, მხოლოდ სტიკერის ტერმინალთან მიტანით!

უახლესი ინოვაციური პროდუქტის პრეზენტაცია თიბისი ბანკის წარმომადგენლებმა „კაჭრეთის ამბასადორში“, მედიატურის ფარგლებში გამართეს და იქ შეკრებილ ჟურნალისტებს, ახალი პროდუქტის უპირატესობები გააცნეს. თიბისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედიაკომუნიკაციების დირექტორის, **თამარ კირვალიძის** განცხადებით, Pay Sticker სადებეტო ბარათის დამატებაა, რომლის დაკვრა შესაძლებელია თქვენთვის ხელსაყრელ, ნებისმიერ ნივთზე — მობილურ ტელეფონზე, მაჯის საათზე, „ბრელოკზე“:

„ვაგრძელებთ მუშაობას, რათა ჩვენი მომხმარებლების ყოველდღიური საქმიანობა უფრო მარტივი და სასიამოვნო გავხადოთ. მომხმარებელმა Pay Sticker-ის ანგარიში, მისივე სადებეტო ბარათის ანგარიშზე უნდა მიაბას. ტრანზაქცია სტიკერის ტერმინალთან მიტანისთანავე განხორციელდება, რომლის შედეგად, თანხა ბარათის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან ჩამოიჭრება. სტიკერის საშუალებით, პინკოდის გარეშე, 45 ლარამდე ტრანზაქციის შესრულებას შეძლებთ. იმ მომხმარებლებს, რომლებიც Pay Sticker-ით გადაიხდიან, ორმაგი Smart ქულები დაერიცხებათ“.

თამარ კირვალიძის განცხადებით, თიბისი ბანკი, როგორც ყველაზე ინოვაციური ბანკი საქართველოში, ახალი ტექნოლოგიური პროდუქტების დანერგვაზეა ორიენტირებული. Pay Sticker-ით გადახდა ყველა იმ სავაჭრო ობიექტშია შესაძლებელი, სადაც როგორც თიბისი ბანკის, ასევე სხვა ბანკების POS ტერმინალებში, უკონტაქტო გადახდის ლოგოა დატანილი.

რატომაა მოსახერხებელი და კომფორტული, თიბისი ბანკის ინოვაციური პროდუქტი? იმიტომ, რომ Pay Sticker, გადახდის ყველაზე სწრაფი და მოსახერხებელი გზაა. მიამაგრეთ სტიკერი თქვენთვის სასურველ ნივთს, უბრალოდ მიიტანეთ სტიკერი ტერმინალთან და გადახდა უკვე შესრულებულია! რაც მთავარია, გადახდის ტრადიციულ მეთოდთან შედარებით, უკონტაქტო ტრანზაქცია სამჯერ უფრო სწრაფია! გირჩევთ, Pay Sticker სასურველ ნივთს ერთხელ მიამაგროთ, რადგან სხვადასხვა ნივთზე ბევრჯერ გადატანით, შესაძლოა, სტიკერი დაზიანოთ! Pay Sticker-ის გამოყენება თიბისი ბანკის მომხმარებლებს უკვე დღეიდან შეუძლიათ.

მაია მიშელაძე

ბათუმში გიგა ბოკერიას, გიგი უგულავასა და გიორგი ბარამიძეს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ

ბათუმში ნაციონალური მოძრაობის ლიდერების წინასაარჩევნო შეხვედრისას ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ნაციონალური მოძრაობის ლიდერების — გიგა ბოკერიას, გიგი უგულავას და გიორგი ბარამიძის მოსახლეობასთან შეხვედრისას რუსთაველის ქუჩაზე ფიზიკური დაპირისპირება მოხდა. შეხვედრაზე დაპირისპირება პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ჯემალ დუაძისა და „სახალხო კრების“ წევრის, დავით ლორიას მისვლის შემდეგ დაიწყო.

როგორც დავით ლორია აცხადებს, 26 მაისის მოვლენების დროს, იგი აწამეს, რის გამოც ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს მოსახლეობასთან წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების მორალური უფლება არ აქვს.

ფიზიკური დაპირისპირების დროს დავით ლორიას პერანგი დაეხა. შეხლა-შემოხლა 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერების წინასაარჩევნო შეხვედრა გაგრძელდა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ თაღლითობის მცდელობისთვის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ამხილეს და დააკავეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი რამაზ პავლიაშვილი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების მთავარი ინსპექტორი რამაზ პავლიაშვილი ამავე დაწესებულების პატიმარ გ.დ-ს დაპირდა, რომ დაეხმარებოდა პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლებაში, რისთვისაც მან მოითხოვა და აიღო 1000 აშშ დოლარი.

გამოძიება თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტო.

„ვერსიანიუსი“

სპეცოპერაცია თუ მკვლელობა — რა მოხდა 2006 წლის 12 იანვარს ნავთლულში

მე-5 გვერდიდან

ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, შოთა გორგაძეს ტანსაცმელზე 4 ცეცხლნასროლი დაზიანება 40 სანტიმეტრის მანძილიდან სროლის შედეგად აქვს მიყენებული, ქურთუკზე კი, გულის მხარეს არსებული დაზიანება — მიბჯენით გასროლის შედეგად. სრულიად დაუჯერებელია, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის დროს საპასუხო გასროლა 40 სანტიმეტრის მანძილიდან ან მიბჯენით განხორციელებულიყო. სპეცოპერაციას ისიც გამორიცხავს, რომ ორმხრივი სროლის შედეგად მხოლოდ ერთი მხარეა ლიკვიდირებული, მეორე მხარეს კი ერთსაც არ მოხვედრია ტყვია.

ასევე, საქმეში არსებობს კუდ-ის თანამშრომლის ჩვენება, რომელიც აცხადებს, რომ მკვლელობის ადგილზე მანქანით მიიყვანა შოთა გორგაძე, მარად ართმელაძე და რომან სურმანიძე, რომლებიც ავტომანქანიდან ჩამოსვლისთანავე ჩაცხრილეს კუდ-ის თანამშრომლებმა. მოწმის ჩვენებით, მის მიერ შემთხვევის ადგილზე მიყვანილ არცერთ პირს იარაღი არ ჰქონია.

— ნავთლულის სპეცოპერაციის შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველ დაწესებულებაში რამდენიმე პატიმარი აწამეს. გამოძიების ინფორმაციით, წამების ორგანიზატორი ბაჩანა ახალაია იყო. პატიმრები რატომ აწამეს?

— იმისთვის, რომ სპეცოპერაციის დადგმული სცენარი საზოგადოებისთვის დამაჯერებელი ყოფილიყო, საჭირო იყო პატიმრების აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც დაადასტურებდნენ, თითქოს ციხიდან გაქცევას აპირებდნენ და მათ ნავთლულის ტერიტორიაზე მოკლული სამი ახალგაზრდა ეხმარებოდა. სწორედ ამიტომ, იმავე ღამით, ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავასა და შეიარაღებულ ნიღბიან სპეცრაზმელებთან ერთად, რუსთავის ციხეში მივიდა და პატიმრები — გია გორგაძე, დავით ლექვთაძე და მათი ორი თანამესაკნე ხელკეტებით სასტიკად ცემა. პატიმრებს უბრძანეს, ტანსაცმელი გაეხადათ, შიშვლები, ცემით, მიწაზე დაყარეს და დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ჰყავდათ ამ მდგომარეობაში. მოგვიანებით, ნაცემი პატიმრები გადაიყვანეს მე-7 დაწესებულებაში, სადაც კვლავ სასტიკად აწამეს და აღიარებითი ჩვენებების მიცემა მოსთხოვეს. ბაჩანა ახალაია და მეგის ქარდავა დამამძიმებელ გარემოებებში პატიმრების წამებისთვის არიან ბრალდებულნი.

— საქმეში არსებული მასალებით და თქვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რა იყო ძმები ახალაიების დანაშაულის ჩადენის მოტივი?

— ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის დროს, ბაჩანა ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პოსტზე ერთი თვის დანიშნული იყო. დანაშაულის ორგანიზება მისი ძალაუფლების განმტკიცებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში საყოველთაო შიშის დანერგვისთვის მოხდა, რაც გაამარტივებდა ციხის თანამშრომლებისა და პატიმრების მართვას.

— რუსთავის ციხეში პატიმრების წამებასთან დაკავშირებით ბრალდებას რა მტკიცებულებები აქვს?

— ბაჩანა ახალაიას ბრალდების ამ ეპიზოდთან დაკავშირებით, არსებობს ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა. დანაშაულს ადასტურებს არა მხოლოდ დაზარალებული პატიმრების, არამედ, ციხის ათეულობით თანამშრომლის ჩვენება.

— რაც შეეხება ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის ეპიზოდს, ბრალის დასადასტურებლად ბრალდებას რა მტკიცებულებები გააჩნია? როგორც დაცვის მხარე აცხადებს, პროკურატურამ ჩვენებები მოწმეებზე ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად მიიღო. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?

— ნავთლულის ტერიტორიაზე ბრალდებულების მიერ სამი ახალგაზრდის მკვლელობა დადასტურებულია, როგორც აღვნიშნე, დანაშაულის თვითმხილველი მოწმეების, მათ შორის, ავტოსადგურის დარაჯის, დაცვის თანამშრომლისა და შემთხვევის ადგილას მყოფი პირის ჩვენებით. ასევე, საქმეში არსებობს კუდ-ის ათეულობით თანამშრომლის ჩვენება, საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ოქმები და ექსპერტიზის დასკვნები.

ჩამოთვლილი მტკიცებულებების გარდა, საქმეში არსებობს მკვლელობის დროს შემთხვევის ადგილზე მყოფი შალვა თათუხაშვილის ჩვენება, რომელიც კუდ-ის მაღალი თანამდებობის პირებს სამი ახალგაზრდის მკვლელობაში ამხელს.

რაც შეეხება მოწმეებზე ზემოქმედებას, მოგახსენებთ, რომ დაცვის მხარე მედიასაშუალებებით მუდმივად აკეთებდა განცხადებებს, თითქოს მოწმე თათუხაშვილისგან ჩვენება ფიზიკური ზემოქმედების შედეგად იყო მიღებული. ამ საკითხზე ჩატარებულმა გამოძიებამ და წინასასამართლო სხდომამ საწინააღმდეგო დაადასტურა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, შალვა თათუხაშვილისგან ჩვენება კანონის მოთხოვნების სრული დაცვითაა მიღებული, რის გამოც მტკიცებულება დასაშვებად იქნა ცნობილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაცვის მხარეს სასამართლო სხდომაზე მოწმე შალვა თათუხაშვილის მიმართ ზეწოლაზე განცხადება არ გაუკეთებია და ამ საფუძვლით ჩვენების დაუშვებლად ცნობა არ მოუთხოვია.

— დაცვის მხარის ინფორმაციით, პროკურატურის მიერ ზემოქმედება მოწმე გია გორგაძეზეც განხორციელდა...

— ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია, რასაც გია გორგაძის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებაც ცხადყოფს.

— როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის აღნიშნულ საქმეში ერთ-ერთი ეპიზოდი სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ საქმეს ეხება, სადაც ბაჩანა ახალაიას ბრალი აქვს წარდგენილი. კონკრეტულად, რა დანაშაული აქვს ჩადენილი ბაჩანა ახალაიას?

— ბაჩანა ახალაიას ბრალი აქვს წარდგენილი სანდრო გირგვლიანის საქმეზე გასამართლებული პირებისთვის პრივილეგირებული პირობების შექმნისთვის. კერძოდ, ბაჩანა ახალაიას ბრძანებით, პატიმრები — გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე ციხეში სხვა პატიმრებისგან განცალკევებით ცხოვრობდნენ, სპეციალურად მათთვის გარემონტებულ და კეთილმოწყობილ შენობაში. ღამის საათებში იღებდნენ სტუმრებს და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც ციხის ტერიტორიაზე, ასევე მის გარეთ.

— მორიგი სასამართლო პროცესი 16 ივნისს გაიმართება, რა დროსაც დაცვის მხარე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს და ამის შემდეგ მოხდება მტკიცებულებების გამოკვლევა. რა შედეგს ელის სახელმწიფო ბრალდება აღნიშნული საქმის განხილვისგან?

— სახელმწიფო ბრალდებას გააჩნია ბრალდებულების დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამ მტკიცებულებების საფუძველზე ველით, რომ მოსამართლე გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს.

ვერსიანიუსი

პატიმარი ბაჩო ახალაია აფხაზეთში პარტიზანული ომის საფრთხეზე საუბრობს

ბაჩო ახალაია საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავს და მოითხოვს, გაასაჯაროონ ყველა მოლაპარაკების შინაარსი, რომელიც რაიმე სახით სოხუმსა და ცხინვალს ეხება.

პატიმრობაში მყოფი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ძლიერი პარტიზანული ომის საფრთხეზე საუბრობს.

ახალაია ე.წ. მატროსოვის ციხიდან მიმართვას ავრცელებს, რომელშიც ნათქვამია:

„ბატონებო, დაჟინებით მოვითხოვ თქვენგან, არ მიიღოთ ისეთ გადაწყვეტილებები, რომლის კონტურებიც ბოლო პერიოდში აშკარად იკვეთება. თქვენ არ გაქვთ უფლება, სოხუმსა და ცხინვალთან დაკავშირებით საქართველოს პოლიტიკა კარდინალურად შეცვალოთ. უცილობლად უნდა გახსოვდეთ, რომ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ესაა გზა სოხუმისკენ და არა პირიქით.

თქვენს მიერ წარმოებული პოლიტიკა, ცალსახად გვაფიქრებინებს, რომ აფხაზეთის რუსეთთან შეერთება შეიძლება გარდაუვალი იყოს, რაც თავის მხრივ დე ფაქტო რუსეთის აფხაზეთში ერთადერთ რამეს გამოიწვევს — ძლიერ პარტიზანულ ომს. ნუ უბიძგებთ ისედაც მძიმე ყოფაში მყოფ ქართველ ხალხს უარესი მომავლისა და სირთულეებისკენ.

იმავდროულად, დაჟინებით მოვითხოვ თქვენგან, საჯარო გახადოთ ყველა მოლაპარაკების შინაარსი, რომელიც რაიმე სახით სოხუმსა და ცხინვალს ეხება, მიეცით ამის განსჯის უფლება იმას, ვისი საქმეც ეს არის — ქართველ ხალხს. არც შეეცადოთ, ოკუპაციის პრობლემა მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხამდე დაიყვანოთ.

ბოლოს, კიდევ ერთხელ, დაჟინებით მოვითხოვ, არათუ აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის დათმობის, არამედ მათ მიმართ მკაცრი პრინციპული პოლიტიკის ოდნავი ცვლილებაც კი არ უნდა გახადოთ არც ერთი მოლაპარაკების, მათ შორის რუსეთთან მიმდინარე ე.წ. ეკონომიკურ-კულტურული მოლაპარაკებისთვის, სავაჭრო თემის მსგავსიც კი. იხელმძღვანელეთ საქართველო მომავალზე ორიენტირებული პოლიტიკით და არა მხოლოდ თქვენი პირადი მოკლევადიანი გამოწვევებით“.

„ინტერპრესნიუსი“

როგორ აყიდინეს დაჭერილ ბიზნესმენს პოლიციის მაღალჩინოსნისთვის BMW X5

პატიმარი №0578

2012 წლის 15 აპრილს, გლდანის ციხის საკარანტინო განყოფილებაში პირველი საკნის კარი გაიღო და 12 კვადრატულ მეტრში მყოფ 31 პატიმარს, 32-ე მიემატა. ახალმოსული კართან წამიერად შეყოვნდა, რადგან შეუძლებელი იყო, ოფლის, ჭუჭყისა და ნესტის სუნით შეზავებულ ჰაერს მაშინვე შეგუებოდი; მერე კი, საკანს თვალი მოავლო და, როცა ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი, მისკენ დაიძრა. აქ სიტყვა „დაიძრა“ აშკარად გადაჭარბებულია, რადგან ნაცნობამდე მისვლას 12 კვადრატულში რამდენიმე წამი დასჭირდა. ბეტონის იატაკზე მსხდომ პატიმრებს შორის ფეხის დასადგმელი ადგილის პოვნა გაძნელდა. საბოლოოდ, ზოგმა ბუზღუნით ჩაიწია, ზოგმაც — ინტერესით და თბილისში ყველაზე ცნობილი სუპერმარკეტების ერთ-ერთი მეწილე ირაკლი ც. მეგობრის გვერდით აღმოჩნდა.

— ისევ დაგიჭირეს?

— ისევ... ახლა მართლა ტყუილად დამიჭირეს, მაგრამ სხვას რას ვერჩი, ჩემი ბრალია. ბინა 120 ათასად გავყიდე და ტელეფონში წამომცდა. ეს სამი დღის წინ იყო. გუშინწინ ამიყვანეს, წამალი ჩამიდეს, ორი დღე „კაპეზეზე“ ვიყავი, მერე ორთვიანი შემიფარდეს და ახლა აქ ვარ. არადა, შვილისთვის მინდა ბინის ყიდვა და შანსი არაა, იმ ფულს არავის მივცემ.

— აბა, ურთიერთობა დავალაგეო?

— 2009-ში რომ დამიჭირეს, ხომ გახსოვს? მაშინ ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსმა, გოდერძი ნატროშვილმა მითხრა, X-5 მიყიდე და გაგიშვებო. ჩემს წინ დაურეკა ვანო მერაბიშვილს, ეგენი ნათელმირონები არიან და იმან დასტური მისცა. არსად გაუფორმებიათ, რომ ამიყვანეს, უბრალოდ, დამარეკინეს და მეორე დღეს გარეთ ვიყავი, „გოდოლა“ კი ახალი მანქანით დარბოდა. ახლა აღარ ვიკეთებ და ანალიზმაც არაფერი ამოაგდო, მაგრამ ჩამიდეს, რა.

ამ დროს საკნის კარი კიდევ ერთხელ გაიღო და ირაკლის უთხრეს, ტანსაცმელი მოგიტანესო. მშვიდად გამოართვა...

— ძმებო, აქ ყველაფერი ახალი იქნება, მე ამის ნერვები არ მაქვს, ვისაც გინდათ და რაც გინდათ, ის აიღეთ, — გამოაცხადა ირაკლიმ და ისევ მეგობარს მიუბრუნდა.

ტანისამოსი მალე დაინაწილეს. ე.წ. რეზინის ტაპკები 67 წლის მოხუცს ერგო. ეს კაცი ციხეში იმიტომ მოხვდა, რომ ქალაქში, ყველის გასაყიდად ჩამოსულს, ერთ-ერთი ბარის ვიტრინა ჩაუტყდა და მეპატრონე 2000 ლარს სთხოვდა, მას კი ფული არ ჰქონდა და ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. მოხუცმა ირაკლის მადლობა გადაუხადა, როცა დამიჭირეს, სამხედრო ჩექმა მეცვა, აქ გამხადეს და რაღაც დახეული ქოშებით დავდივარო...

— ირაკლი, რას აპირებ?

— არ ვიცი... ახლა მარტო იმაზე ვფიქრობ, რომ მალე დაგვშალონ და საკანში ავიდე. აქ ან ტუბერკულოზს ავიკიდებთ ან სუნში გავიგუდებით.

— ნუ გეშინია, გვითხრეს, რომ ამაღამ დაგვშლიან და ქრისტეს ტირილი იქნება. იცი, დაშლის დროს რა ხდება?!

— ვიცი, ჩემი ძმაკაცი გამოვიდა ერთი თვის წინ და ის მოყვა...

საღამოს ათ საათზე პატიმრებს აუწყეს, რომ ციხის უფროსი, ალექსანდრე მუხაძე მობრძანდა და კარანტინის დაშლა დაიწყებოდა. რამდენიმე პატიმარს კანკალი აუვარდა, ზოგიერთმა ფრჩხილების კვნეტა დაიწყო. მოხუცი მშვიდად იჯდა, ბაბუის ტოლ კაცს ვინ შემეხებაო. ირაკლიმ ოფიცერს ჰკითხა, სულ რამდენი ვართ კარანტინშიო და როცა გაიგო, იმ დღეს 208 პატიმრის დაშლას აპირებდნენ, მეგობარს გადაუჩურჩულა, ბოლოს გავიდეთ, შანსი არაა, 208 კაცი სცემონ, დაიღლებიანო.

დაშლა დაიწყო. პატიმრები ერთად შეაგროვეს. მუხაძე მაგიდაზე ჩამოჯდა, მასთან მიმსვლელ პატიმარს კი ოფიცრების კორიდორი უნდა გაევლო. პირველად ხელს ან ფეხს მუხაძე ურტყამდა, შემდეგ ოფიცრები ესეოდნენ და, დაახლოებით, 30-40 წამის განმავლობაში დაუნდობლად სცემდნენ. ეს 30 თუ 40 წამი საუკუნე გრძელდებოდა და უსაშველოდ იჭიმებოდა. ამ დროს პატიმრებში რაღაც ჩურჩული ატყდა, მერე კი მასას ტალღასავით გადაურბინა — „ჩაიფსა, ჩაიფსა“... მუხაძემ ყურები ცქვიტა, პატიმრები მისწი-მოსწია და ახალგაზრდა ბიჭი შერჩა ხელში, რომელსაც ნერვებმა უმტყუნა და ჩაისველა.

ამ ამბავს ოფიცრებში აღტაცების შეძახილი მოჰყვა. მუხაძემ ბიჭი ცენტრში დააყენა, მხარზე ხელი დაარტყა და ყოჩაღო, უთხრა, შემდეგ კი დანარჩენებს მიუბრუნდა.

— ბოზის შვილი ვიყო, ის პატიმარი, რომელიც ჩაიფსამს, არ გაილახება. აგერ, შეხედეთ ამას, ხელს არ დავადებთ და აბა, თქვენ იცით. არ გინდათ ცემა, ჩაიფსით! — გამოაცხადა მუხაძემ.

პატიმრები არ განძრეულან. ამან ოფიცრები გააღიზიანა და რეჟიმის უფროსმა, ოლეგ ფაცაციამ ამოიხრიალა:

— შემდეგი!

— მე გავალ, შვილებო, არ მცემენ! — ჩუმად ჩაილაპარაკა მოხუცმა და ოფიცრებისკენ ნელი, ბებრული ნაბიჯით დაიძრა. ფეხზე ირაკლის ნაჩუქარი „ტაპკები“ ეცვა, ხელში კი ის დახეული რეზინის ქოშები ეკავა.

— ეს რა არის? — მუხაძემ ქოშებს თვალი ჰკიდა.

— შვილო, ჩემები სოფელში ცხოვრობენ, ვერაფერს ჩამომიტანენ და ეს ერთ-ერთმა პატიმარმა მაჩუქა. ეს ქოშები კიდევ თქვენია და რომ მომთხოვოთ, რა უყავიო, პასუხი ხომ უნდა გაგცეთ? აგერ მაქვს და მითხარით, ვის ჩავაბარო, — უთხრა მოხუცმა.

მუხაძე ჩაფიქრდა, ხან ქოშებს უყურებდა, ხან — პატიმრებს, ხან კი — მოხუცს. ბოლოს, სახე გაუნათდა.

— ბიძაჩემო, შენ ახლა ორი ვარიანტი გაქვს, ან ამ ქოშებს ტრა-ში გაგიკეთებ, ან კიდევ, სანამ კარანტინს არ დავშლით, კბილებით დაიჭერ, — საზეიმოდ გამოაცხადა ციხის დირექტორმა.

მოხუცი დაიბნა, ჯერ პატიმრებს მოავლო უმწეოდ თვალი, მერე მუხაძეს შეხედა და როცა მიხვდა, რომ არ ეხუმრებოდნენ, თვალებიდან ცრემლი წასკდა. მერე ნელა, ძალიან ნელა, რეზინის ქოშები პირისკენ წაიღო და კბილებით დაიჭირა.

— შენ ეშმაკი კაცი ჩანხარ, გვერდით დამიდექი, რომ პირიდან არ გამოიღო და თან უყურე, ასაკის გამო რას გადარჩი, — უთხრა მუხაძემ და მოხუცი გვერდით ამოიყენა.

208 პატიმრის დაშლა, დაახლოებით, სამ საათს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, მოხუცი მუხაძის გვერდით იდგა და რეზინის ქოშები კბილებით ეჭირა. თვალებიდან წამოსული ცრემლი პირიდან გადმოსულ დორბლს უერთდებოდა და მის წინ ბეტონის იატაკს ასველებდა, თუმცა ამას ყურადღებას არავინ აქცევდა...

ოფიცრები პატიმრების სისხლით ძღებოდნენ.

P.S. ირაკლის სასამართლოზე, გირაოს სახით, 120 ათასის გადახდა სთხოვეს, თუმცა უარი მიიღეს. მას მოსამართლემ 5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.

ბიზნესი

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ესტუმრა

კომპანიამ 500 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა

ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლუბომირ ზაორალეკმა ჩეხეთის დელეგაციის წევრებთან ერთად, ზაჰესის ჰიდროელექტროსადგური დაათვალიერა. ზაჰესში გამართული შეხვედრისას, კომპანიის წარმომადგენლებმა ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საქმიანობა გააცნეს, კერძოდ, კომპანიის მიერ დღემდე განხორციელებული ინვესტიციები, როგორც ქსელის რეაბილიტაციისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების კუთხით, ასევე კომპანიის საკუთრებაში არსებულ ჰიდროელექტროსადგურებზე შესრულებული სარეაბილიტაციო პროექტების შესახებ.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჩეხური კომპანიაა, რომელიც საქართველოს ენერგობაზარზე 2006 წლიდან ფუნქციონირებს. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, **ავთო დვალიშვილის** განცხადებით, საქართველოში შემოსვლიდან დღემდე, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ 450 000 000 ლარის ინვესტიცია — დისტრიბუციაში, ხოლო 50 000 000 ლარის ინვესტიცია — გენერაციის სფეროში განახორციელა:

„ამჟამად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობს და ამუშავებს 15 საშუალო და მცირე ზომის ჰესებს, რომელთა საერთო ჯამური სიმძლავრე 469.25 მგვტ-ია. კომპანიის გენერაციის აქტივებში შედის რიონჰესი (დადგმული სიმძლავრე — 48 მგვტ), გუმათჰესების კასკადი (1 დადგმული სიმძლავრე — 44 მგვტ და 2 დადგმული სიმძლავრე — 22.8 მგვტ), შაორჰესი (დადგმული სიმძლავრე — 38.4 მგვტ), ძევრულჰესი (დადგმული სიმძლავრე — 80 მგვტ), ლაჯანურჰესი (დადგმული სიმძლავრე — 112.5 მგვტ), აწჰესი (დადგმული სიმძლავრე — 16 მგვტ), იორის კასკადი (სიონჰესი — 9.14 მგვტ, საცხენჰესი — 14 მგვტ, მარტყოფჰესი — 3.84 მგვტ), ჩითახევჰესი (დადგმული სიმძლავრე — 21 მგვტ), ორთაჭალჰესი (დადგმული სიმძლავრე — 18 მგვტ), ზაჰესი (დადგმული სიმძლავრე — 36.8 მგვტ), კინკიშაჰესი (დადგმული სიმძლავრე — 1.4 მგვტ) და ჩხორჰესი (დადგმული სიმძლავრე — 3.35 მგვტ). „ენერგო-პრო ჯორჯია“ ფლობს და ამუშავებს გარდაბნის გაზის ელექტროსადგურს, რომლის დადგმული სიმძლავრე 110 მგვტ-ია“, — განუცხადა „ვერსიას“ ავთო დვალიშვილმა.

მისი თქმით, გენერაციის გარდა, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, ელექტროენერგიის დისტრიბუციის ყველაზე მსხვილი კერძო მფლობელია. კომპანიის მომსახურების არეალი 47 265 კვადრატულ მეტრს შეადგენს, საქართველოს ტერიტორიის 70%-ს ფარავს და 980 000 აბონენტს ემსახურება.

რაც მთავარია, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ერთ-ერთი, ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. ავთო დვალიშვილი აცხადებს, რომ კომპანიამ უკვე 5 200 პროფესიონალი დაასაქმა. მისივე თქმით, „ენერგო-პრო ჯორჯია“ ახალ სამუშაო ადგილებსაც ქმნის და საქართველოს რეგიონების მოსახლეობას დასაქმების თანაბარ შესაძლებლობას აძლევს.

მაია მიშელაძე

„ევროპის საზღვრების გახსნას გულისხეთქვით ველი!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

კავკასიის რეგიონში რუსეთის მიერ საკუთარი გავლენის სამხედრო და ახლა უკვე ეკონომიკური გზით გაძლიერება, ევრაზიული კავშირის შექმნა, ევროპის პოზიცია საქართველოსა და რუსეთთან მიმართებაში — ამ თემებზე არაერთი ექსპერტი მსჯელობს. „ვერსია“ პროფესორის, პოლიტოლოგ თამარ კიკნაძის განსხვავებულ მოსაზრებასა და ხედვას გთავაზობთ.

როგორ აპირებს ევროპასთან ვაჭრობას და რატომ მიიჩნევს უკრაინას იგივე რუსეთად პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ობიექტური განსჯა არ მიდის, რომელი გზა უნდა ავირჩიოთ. მხოლოდ იმას გვეუბნებიან, რომ ევროკავშირი კარგია, მაგრამ არავინ გვიხსნის, რატომაა კარგი. იმ ევროპული ღირებულებებით აპელირებენ, რომლებიც დღეს შეცვლილი და გაცილებით გაუარესებულია, ვიდრე 70-იან წლებში იყო. ყველა ქვეყანას თავისი გეოპოლიტიკური კოდი აქვს და ღრმად ვარ დარწმუნებული, საქართველო თავისი კოდის წინააღმდეგ მიდის. ევროპა, რომელიც უფრო კათოლიკურ და პროტესტანტულ კულტურაზეა შექმნილი, ჩვენი გზა არ არის! იმაზე არავინ ლაპარაკობს, რომ ჩვენს რელიგიაზე უარის თქმა მოგვიწევს, რაც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებითაც კარგად გამოჩნდა. ახლა ევროპა ქრისტიანობის წინა პერიოდშია და ვნახეთ, მისთვის ძირითადი ორიენტირი კონჩიტაა. ევროპა უკან-უკან მიდის!

— ქალბატონო თამარ, იმაზე არ გიფიქრიათ, რომ საქართველოში დიდი ანტიევროპული პროპაგანდა მიდის და დასავლეთი მიზანმიმართულად მხოლოდ გეებთან, „კონჩიტებსა“ და ლეგალურ ნარკოტიკთანაა გაიგივებული?

— რა თქმა უნდა, ასეა... ჩვენთან ყველა ეს საკითხი უტრირებულია, რამაც მოსახლეობაში ევროპის მიმართ ანტიგანწყობა გააჩინა. პარალელურად, ჩვენს ისტორიასა და იმ ტრადიციებსაც უარვყოფთ, რაც ქართველ ერს ყოველთვის ჰქონდა და არავისგან ესწავლება — ტოლერანტობა, განსხვავებულის შემწყნარებლობა და ა.შ. ის პროპაგანდა, რომელიც საქართველოში წლებია მიდის, აშკარად უკუშედეგს იძლევა — რომ არა დასავლური ღირებულებების არასწორი „რეკლამირება“, შესაძლოა, დღეს, ქუჩაში არც ფერადკანიანები გვეცემა და ასე არც სხვა რელიგიის წარმომადგენლებს მოვქცეოდით. ეს მხოლოდ თავსმოხვეული ლიბერალიზმია, რასაც ევროპა საქართველოს ვერასოდეს ასწავლის. ხანდახან ვფიქრობ, ამას სპეციალურად აკეთებენ, რომ ქართველ ხალხს ევროპა შეაზიზღონ-მეთქი, თუმცა ეს არასწორი პოლიტიკა, ალბათ, იმ დიდი არაპროფესიონალიზმის შედეგია, რაც დღეს ქვეყნის ხელისუფლებაშია გამეფებული.

— ახალი საფიქრალი გაგვიჩნდა — ევრაზიული ეკონომიკური კავშირი. რა საფრთხეს უქმნის ეს დიდი სამეზობლო გაერთიანება საქართველოს?

— ეს კავშირი ასე უცებ არ წარმოქმნილა. მსოფლიოში მსგავსი ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები ერთმანეთზეა გადაბმული, ამიტომ დარწმუნებული ვარ, ევრაზიული კავშირი დასავლეთის გარკვეული წრეების ხელშეწყობითაც შეიქმნა. სამყარო უკვე პოლიცენტრულია ანუ მსოფლიოში რამდენიმე მთავარი მოთამაშეა და არა ერთი, ერთ-ერთი ცენტრალური მოთამაშე კი სწორედ რუსეთია, რომელმაც კუდი მოიქნია და კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ხელწამოსაკრავი ქვეყანა არ არის. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი ერთადერთია, ვისაც ბირთვული იარაღის ტრიადა აქვს და აშშ-სთვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს. შემთხვევითი არც ისაა, რომ რუსეთმა და ჩინეთმა ხელი სტრატეგიულ პარტნიორობასა და სამხედრო თანამშრომლობაზე მოაწერეს. რუსეთი დღეს ყველასთვის საფრთხობელაა, არადა, ჯერ კიდევ ტოიმბი, ცივილიზაციების ცნობილი პროდასავლელი სპეციალისტი ამბობდა, რომ რუსეთის ექსპანსია თავდაცვითი ხასიათისაა.

— ვისგან იცავს თავს — უკრაინისგან თუ საქართველოსგან?

— ჩვენთან მუდმივად მიდის პროპაგანდა, რომ რუსეთი ყველას თავს ესხმის. თუნდაც უკრაინის მაგალითი ავიღოთ — უკრაინა იგივე რუსეთია, იგი, პრაქტიკულად, რუსეთის ეზოა.

— ასეც რომ იყოს, ყველაფერი, რასაც რუსეთი თავის ნაწილად მიიჩნევს, ტანკით უნდა შემოღობოს?

— იცით, სინამდვილეში, უკრაინაში რა ხდება? — ერთმანეთს მსხვილი ფინანსური კლანების ინტერესები ეჯახება და ეს სრულიად არადემოკრატიული პროცესია, თუმცა ყველაფერს დემოკრატიისთვის ბრძოლის სახელით კარგად აფორმებენ.

— ქალბატონო თამარ, იმის თქმა გინდათ, რომ უკრაინამ „ნარინჯისფერი რევოლუციით“ დემოკრატიული ცვლილებები არ განიცადა?

— როგორ არა, მაგრამ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ პირობებში, დასავლეთმა თავისი ამოცანა ვერ შეასრულა. უკრაინა 46-მილიონიანი ქვეყანაა, ბევრი რესურსით, გასაღების კარგი ბაზრით. ეს ხელოვნურად შექმნილი დიდი ტერიტორიაა და ამისთვის მადლობა სწორედ რუსეთს უნდა გადაუხადონ. უკრაინის რაღაც ნაწილზე პრეტენზია აქვთ რუმინელებს, უნგრელებს, პოლონელებს, აღმოსავლეთი ნაწილი, დონბასი და დონეცკი კი, პრაქტიკულად, რუსეთის ტერიტორიაა. უკრაინაში ბოლო დროს პროცესები რუსეთის წინააღმდეგ წარიმართა. სინამდვილეში, ეს იყო დარტყმა რუსეთზე, რასაც, ცხადია, იგი არ მოითმენდა. ვფიქრობ, შემდეგი რევოლუცია რუსეთში მოხდება, რადგან ის, პრაქტიკულად, კუთხეში მიიმწყვდიეს.

— რუსეთს მსხვერპლის როლში ვერავინ წარმოიდგენს და მთავარი დასავლელი პარტნიორები — საფრანგეთი და გერმანია სანქციების ენით ელაპარაკებიან!

— სინამდვილეში, მოლაპარაკებები „გაზპრომთან“ მიდის. ეს ტიპური დასავლური პოლიტიკაა — ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. დასავლეთის პოლიტიკა გაცილებით ეშმაკურია, ვიდრე რუსეთისა. საქართველო-ევროპის პოლიტიკური ურთიერთობა, იცით, რას მაგონებს? — გროსმაისტერთან უთანრიგო მოჭადრაკის დაპირისპირებას. შენ ევროპას საჭადრაკო პარტიას ვერასოდეს მოუგებ!

— ისევე, როგორც ვერაფრით დავამარცხებთ რუსეთს. აბა, სად არის გამოსავალი?

— ძალიან ჭკვიანურად უნდა ვითამაშოთ, რომ ამ გეოპოლიტიკურ მონსტრებს შორის არ გავიჭყლიტოთ. ამ თამაშში რუსეთის კი არა, ქართველების მხარეს ვარ. საქართველომ თავი მსხვერპლის მდგომარეობაში თავად ჩაიგდო, როცა ბოლო 23 წელი, საკუთარი ქვეყნის ინტერესების ნაცვლად, დასავლეთის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა.

— თუ ყირიმი რუსეთის ნაწილი იყო და უკრაინა მისი ეზოა, აფხაზეთის შემთხვევაშიც ასე ხომ არ არის? რა პროცესი მიდის და აღმოჩნდება თუ არა აფხაზეთი, დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსით, ახალ ევრაზიულ კავშირში?

— აქ საკუთარი პრიორიტეტები ჩვენვე უნდა განვსაზღვროთ — გვინდა თუ არა ევროკავშირში შესვლა უაფხაზეთოდ, უოსეთოდ და სრულიად არაკონკურენტუნარიანი ქვეყნის როლში? მე, მაგალითად, ევროპის საზღვრების გახსნას გულისხეთქვით ველი. თუ ასე მოხდა, ეკონომიკურად გაჩანაგებული და დაუსაქმებელი ჩვენი მოსახლეობა მაშინვე ევროპაში გაიქცევა, არა ხელმძღვანელ ადგილებზე, არამედ მუშახელად. ასე გადაშენდება ეს ნიჭიერი ერი!

— გამოდის, ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელს რომ ვაწერთ და უელსის სამიტზეც რაღაც წინსვლა გვექნება, ცუდია?

— პარადოქსია, რომ არც მაპ-ს გაძლევენ და საერთოდ, ამდენი მცდელობის მიუხედავად, ევროპისგან ვერანაირ მოგებას ვნახულობთ. პირიქით, სულ წამგებიან პოზიციაში ვართ. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, რუსებსა და ევროპელებთან ძალიან კარგად ვივაჭრებდი. პოლიტიკა ხომ დიდი ვაჭრობაა.

— საკითხი ასე დავსვათ — თუ ევროპასთან ასოცირება ჩვენთვის წამგებიანია, რას მოვიგებთ ევრაზიულ კავშირში შესვლით?

— ჯერ ერთი, ეს ხელმოწერა არანაირი ბილეთი არ არის და საქართველომ ევროკავშირის წესები ცალმხრივად უნდა დაიცვას. რეალურად, რით ცხოვრობს ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი — საზღვარგარეთ წასული ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფულით. ყველაზე მეტი, დაახლოებით, მილიონი ქართველი რუსეთში ცხოვრობს, საიდანაც, წლიურად, მილიარდ დოლარს გზავნის, ყველაზე დიდი დიასპორაც რუსეთში გვყავს და მაინც ამ ქვეყანას ეომები და მასთან ისედაც ცუდ ურთიერთობას უფრო აფუჭებ?! გავიხსენოთ, როგორც შევედით დსთ-ში — რაც დასაკარგი იყო, ყველაფერი დავკარგეთ, აფხაზეთი და სამაჩაბლო დავთმეთ და ბოლოს, მაინც იქ აღმოვჩნდით. კი ბატონო, ძალიანაც მინდა ევროკავშირში, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, ამის სანაცვლოდ რას ვკარგავ და რას ვიღებ?! ამ თემაზე ღია მსჯელობა და საქმიანი დებატები ოდესმე მოგისმენიათ? ვინმე რეალურად კამათობს, სად სჯობია და რატომ?! ეს ხომ საინფორმაციო ომია, სადაც საქართველო მუდმივად არაინფორმირებული ქვეყანაა?! საბჭოთა კავშირი უნიკალური იმპერია იყო, სადაც დაპყრობილი დამპყრობელზე უკეთ ცხოვრობდა, დღეს კი რუსები ასეთი სულელები აღარ არიან და რომც ეხვეწო, მაინც არ შეგიერთებენ. რაც შეეხება აფხაზეთს, ეს ჩვენზე რუსეთის ზეწოლის მექანიზმია და მოვლენები იმით დამთავრდება, რომ ცოტა აზრზე თუ არ მოვალთ, ეთნიკურ ქართველებს გამოასახლებენ! არასწორია განცხადებებიც, რომ ანგელა მერკელი ამ თემაზე, თურმე, რუსეთს ელაპარაკება. ე.ი. რა გამოდის — შენ ამ მოლაპარაკებებში ხარ არა სუბიექტი, არამედ ობიექტი. ისიც კი არ შეგიძლია, საკუთარი, ოკუპირებული ტერიტორიების თემაზე ოკუპანტ ქვეყანას თავად ელაპარაკო, როგორც პირდაპირ დაინტერესებული ქვეყანა, თუმცა ეს რომ გააკეთო, მაშინვე პრორუსის სახელი დაგერქმევა. ჩვენთან ამ იდეოლოგიას ძალიან ღრმად აქვს ფესვები გადგმული, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი რეალური ინფორმაციის მიწოდება და ქვეყნის კურსთან დაკავშირებით დებატებია.

ვერსიანიუსი

გიორგი კვირიკაშვილი: „დარიალში სტიქიით მიყენებული ზარალი საკმაოდ სერიოზულია“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დარიალში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი საკმაოდ სერიოზულია, თუმცა ჯერჯერობით, კონკრეტული ციფრები უცნობია.

შეგახსენებთ: 17 მაისს დარიალის ხეობაში მეწყერი ჩამოწვა, რამაც მდინარე თერგის ჩახერგვა და წყლის ადიდება გამოიწვია. სტიქიის შედეგად დიდი ოდენობით მიწის მასა ჩამოიშალა, რის გამოც ლარსის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმართულებით გადაადგილება ამ დრომდე შეჩერებულია.

ხეობაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ამ დრომდე გრძელდება.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისის ზოოპარკში ვეფხვებმა ახალგაზრდები დატორეს



თბილისის ზოოპარკში სამი ახალგაზრდა ვეფხვებმა დატორეს. ისინი ზოოპარკში შესვლას უკანონოდ, ახალი გზიდან ცდილობდნენ. ახალგაზრდები აკრძალულ ტერიტორიაზე შევიდნენ და ვოლიერს მიუახლოვდნენ, რა დროსაც ვეფხვებმა დატორეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა სამედიცინო სამსახურის თანამშრომლებმა დაშავებულები თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ დროისთვის სამი დაშავებულიდან ორი უკვე სახლშია გაწერილი, მესამე დაშავებულის მდგომარეობა კი მძიმეა და იგი რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება.

თბილისის ზოოპარკის დირექტორის, ზურაბ გურიელიძის განცხადებით, სამწუხაროა, რომ ვეფხვმა ერთ-ერთ ახალგაზრდას საკმაოდ მძიმე ჭრილობა მიაყენა.

„დაცვამ გამოიძახა პატრული, შესაბამისად, მოვიდა სამაშველო სამსახურიც, მოვიდა სასწრაფოც და ახალგაზრდები საავადმყოფოში გადაიყვანეს“, — განაცხადა ზურაბ გურიელიძემ.

„ინტერპრესნიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5		4	2			7		
			9			3		1
	1	9						4
	7				1	6		
				3				
		3	6				8	
4						2	1	
8		2			6			
		1			4	5		7

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7			6	8	5			
2		5			4			
3								
	7			9		1		
6	2						8	9
		8		6			7	
								1
			9			2		6
			1	7	6			4

ᲠᲗᲣᲚᲘ

		6					2	
2			7			8		
				2	6	9		
7				1			3	
	3		5		4		7	
	5			3				4
		9	4	7				
		8			9			5
	1					3		

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

			4					3
5	4				7	6	2	
				5	3	9		
					2	1		
1	6			4			3	2
		9	1					
		4	2	6				
	7	2	3				4	9
8					4			

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ

ახალი რესტორნის გახსნა ყოველთვის სარისკოა, დაწესებულებების 60% ხშირად არ მართლებს და 3 წელიწიდაში იხურება. ამ ბაზარზე ადგილი რომ დაიმკვიდრო, ალბათ, ისეთი რამ უნდა მოიფიქრო, კლიენტებმა სხვაგან წასვლაზე აღარც იფიქრონ. მაგალითისთვის რამდენიმე ასეთ რესტორანს გაგაცნობთ:

სადილი ცაში — იდეის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დიდი კაბინა ამწეს საშუალებით დიდ სიმაღლეზე, სასურველია ქალაქის ღირსშესანიშნაობებით ცნობილ ადგილას აიტანოთ. კაბინაში ჩასვით გულმაგარი 22 კლიენტი, რომლებიც მზად არიან, სიმაღლის შიში დაივიწყონ, საკუთარ თავს კარგი ღვინით ასიამოვნონ და თან ლამაზი პეიზაჟით დატკბნენ. ასეთ დაწესებულებაში სადილობა ბელგიის ნებისმიერ ადგილას „სულ რაღაც“ 8 ათასი ევრო დაგიჯდებათ, რესტორნის ერთადერთი მინუსი ისაა, რომ უსაფრთხოების სარტყელი უნდა დაიმაგროთ და დანა-ჩანგალი არ უნდა დაგივარდეთ.

სადილი ტუალეტში — გაქვთ სურვილი, ისადილოთ დიდ საზოგადოებრივ ტუალეტში? — არავითარი პრობლემა არ არის — იქ კერძები პატარა უნიტაზის მსგავსი ჭურჭლით მოაქვთ.

სადილი საავადმყოფოში — ზოგიერთებს იქნებ საღამოს გატარება საავადმყოფოს სტილში მოწყობილ რესტორანში ესიამვნოთ? ასეთ დაწესებულებაში კედლებზე რენტგენის სურათებია გაკრული, სასმელი კი წვეთოვანებით იყიდება. თან მომხიბლავი მედდა-ოფოციანტები გემსახურებიან.

სადილი წყალქვეშ — შემთხვევით თუ მალდივის კუნძულებზე აღმოჩნდით, შეგიძლიათ ისადილოთ უჩვეულო რესტორანში, რომელიც წყალქვეშ მდებარეობს. აკრილის გამჭვირვალე შუშისმიღმა წყალქვეშა სამყაროს სილამაზით დატკბებით და თან ერთი წვეთი წყალიც კი არ დაგასველებთ, თუმცა ეს რესტორანი მხოლოდ 14 სტუმარს იტევს.

სადილი სიბნელეში — თუკი გსურთ, საკუთარ თავზე გამოსცადოთ, რას განიცდიან უსინათლო ადამიანები ჭამის დროს, მაშინ დაუყოვნებლივ რესტორან „ლე ნუარში“ გაეშურეთ პარიზში ან ლონდონში. აქ მთელი ინტრიგა ისაა, რომ ვერ ხედავ, რა კერძი მოგიტანეს და აქედან გამომდინარე, ახალი შეგრძნებებიც ჩნდება. ჯერ ერთი — ეს საჭმელი შუქზე რომ დაინახოთ, შეიძლება პირი არასოდეს დააკაროთ, მეორეც — თქვენთვის კარგად ნაცნობ და საყვარელ კერძებსაც ამ უკუნეთში სხვა გემო აქვს.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

6	5	7	3	4	2	1	9	8
3	8	2	1	9	7	6	5	4
4	1	9	8	6	5	7	3	2
5	3	6	9	2	1	4	8	7
7	4	1	6	5	8	3	2	9
2	9	8	7	3	4	5	6	1
1	7	5	2	8	3	9	4	6
9	2	4	5	1	6	8	7	3
8	6	3	4	7	9	2	1	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

2	1	7	6	5	4	8	3	9
8	9	6	7	3	1	5	4	2
5	4	3	9	2	8	1	7	6
4	3	5	2	9	7	6	1	8
7	2	1	8	6	5	3	9	4
6	8	9	4	1	3	2	5	7
3	7	4	5	8	2	9	6	1
1	6	2	3	4	9	7	8	5
9	5	8	1	7	6	4	2	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	7	2	8	5	3	9	6	4
9	6	3	4	2	1	5	7	8
5	4	8	9	7	6	3	2	1
8	2	1	6	4	5	7	3	9
7	9	4	3	8	2	6	1	5
3	5	6	1	9	7	4	8	2
6	1	9	5	3	8	2	4	7
4	3	7	2	1	9	8	5	6
2	8	5	7	6	4	1	9	3

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

5	8	7	4	3	1	9	2	6
4	6	2	7	5	9	1	3	8
3	9	1	2	6	8	7	5	4
9	5	4	3	2	7	6	8	1
8	7	3	9	1	6	5	4	2
1	2	6	8	4	5	3	7	9
2	4	5	6	9	3	8	1	7
7	3	9	1	8	2	4	6	5
6	1	8	5	7	4	2	9	3

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2	5	3	8	7	1	4	9	6
1	4	8	6	9	2	7	5	3
9	7	6	5	4	3	8	2	1
5	6	9	4	3	8	2	1	7
4	3	1	2	6	7	5	8	9
8	2	7	1	5	9	6	3	4
7	1	5	3	8	6	9	4	2
3	9	4	7	2	5	1	6	8
6	8	2	9	1	4	3	7	5

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	3	8	4	9	6	5	2	1
2	9	5	7	3	1	6	8	4
6	1	4	5	2	8	3	9	7
5	4	6	2	8	3	7	1	9
9	2	7	1	6	5	8	4	3
1	8	3	9	7	4	2	5	6
4	7	2	6	5	9	1	3	8
3	6	1	8	4	2	9	7	5
8	5	9	3	1	7	4	6	2

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	4	3	6	9	2	5	1	7
7	2	5	3	4	1	8	6	9
1	9	6	8	5	7	3	4	2
3	8	7	2	1	6	4	9	5
6	5	9	7	3	4	2	8	1
4	1	2	5	8	9	7	3	6
9	7	8	4	6	5	1	2	3
2	6	4	1	7	3	9	5	8
5	3	1	9	2	8	6	7	4

ᲔᲥᲡᲢᲠᲘᲛᲘ

9	4	3	2	1	8	5	7	6
2	1	8	6	7	5	9	4	3
7	6	5	4	9	3	2	1	8
1	9	2	3	8	7	6	5	4
6	8	7	5	4	2	3	9	1
5	3	4	1	6	9	8	2	7
4	5	6	9	3	1	7	8	2
8	2	1	7	5	6	4	3	9
3	7	9	8	2	4	1	6	5

მე-10 გვერდი: 1. კუსტო; 2 დერბი; 3. კანცონა; 4. სარქალი; 5. ოპალი; 6. დეკადა; 7. რენეგატი; 8. იდიოსინკრაზია; 9. ანდრია; 10. კაპადოკია; 11. ლატექსი; 12. სკუნსი; 13. ელო; 14. სეგედი; 15. ბოკალი; 16. ალან; 17. ატა; 18. ალა; 19. ექოლოტი; 20. რაიხი; 21. შაპიტო; 22. ეკლესიასტე; 23. რკო; 24. „ნატო“; 25. „ბოავიშტა“; 26. „სიტროენი“; 27. აზნავური; 28. ინა; 29. რქა; 30. „ალეკო“; 31. რუდაქი; 32. საბატინი; 33. ანა; 34. კიი; 35. ომი; 36. ანალოე; 37. რეი; 38. დიახ; 39. მაიკო; 40. ავრორა; 41. იკოსაედრი; 42. დოფინი; 43. ეივე; 44. ფანატი; 45. პიტი; 46. ირაო; 47. ფა; 48. შუ; 49. ფრანსი; 50. ოშკი; 51. იუმი; 52. სირ; 53. ტაიმი; 54. შპრეე; 55. ოვერარმი; 56. ასლი; 57. ნოსტე; 58. ერევანი; 59. ლიძავა; 60. პოლ; 61. ქარიყლაპია; 62. მელოტი; 63. სერსო; 64. სამურაი; 65. ლარისა; 66. ქსუ; 67. აპია; 68. ვალტორნა; 69. ყამა; 70. დოლიძე; 71. კამელოტი; 72. სარა; 73. ნუ; 74. პანსა; 75. „ფრამი“; 76. ფრაუ; 77. ნიუანსი; 78. ნისია; 79. აუტი; 80. აია; 81. ესე; 82. ავე; 83. ინ-ფოლიო; 84. ასა; 85. კაი.

1. ამერიკული ავტომარკა
2.საიქიოს ქალღმერთი რომაულ მითოლოგ.
3.საჭმელი სოკოს სახეობა
4. ქიმიური ელემენტი
5. მამალი კვიცი
6. სკვითების მახვილი
7. უკრაინის დედაქალაქი
8. იაპონიის თვითსახელწოდება
9. გემის ბოლო ნაწილი
10. ტვირთმზიდავი ხარი
11. მსახიობი ... ჟირარდო
12. ქართ. ხალხური ცეკვის ანსამბლი
13. თიბათვის თანამედროვე სახელწოდება
14. ბარათაშვილის ლექსი
15. მოგზაური ამერიგო ...
16. კავკასიის მთიელთა სოფელი
17. ქართული ხალხური ზღაპარი
18. სამხედრო წოდება
19. ოტია ქამუშაძის დედა
20. ნადირობა აფრიკაში
21. კალათბურთის „დიფა“
22. რომაელთა არტემიდე
23. სიყვარულის აღმნიშვნელი წინსართი
24. სოფელი ზუგდიდის რაიონში
25. ილიას „ოთარანთ ...“
26. სიტყვის შემადგენელი ელემენტი
27. ბირმის უდიდესი მდინარე
28. საიდუმლოებით მოცული, უცნაური
29. წილი ბიზნესში
30. რგოლისებრი მარჯნის კუნძული, რომლის შუაშიც მოქცეული ლაგუნა
31. წალკოტი უდაბნოში
32. ფრანგი კომპოზიტორი
33. ქალაქი კოლუმბიაში
34. ცაში არსებული ანუ ...
35.კრიკეში: გვერდული დარტყმა შორიდან
36.ღმერთების ადგილსამყოფელი სკანდ. მით.
37. მწერალი ... დგებუაძე
38. ოპერა „აიდას“ კომპოზიტორი
39. ქართლის „დედაქალაქი“
40. ბალახის ჩრდილი
41. ტალღისებური ნაკეცები ქსოვილზე
42. წუხილი, კვნესა
43 . ლუწი რიცხვი
44.სპორტის სახეობა
45.ინგლ. მწერალი ... გრინი
46. კანი ფრჩხილის ირგვლივ
47. ინგლისელი მუსიკოსი დევიდ ...
48.სქელი ფარჩა, ოქროქსოვილი
49. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი
50. უკრაინის ფულის ერთეული
51. ონორე ... ბალზაკი
52. მწერალი ... კიპლინგი
53.ოთახის დეკორატიული ყვავილი
54. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
55.სამი წერტილი კამათელზე
56. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი
57. დღის ანტონიმი
58. მე-17. საუკუნის თურქი მწერალი და მოგზაური ... ჩელები
59. ტიბეტელი ხალხის სულიერი და პოლიტიკური ლიდერი ...-ლამა
60. სანადირო ძაღლი
61. ჩაპლინის ბოლო მეუღლე
62. სასტუმროს მასხური ბიჭი
63. პლანეტა ოუპიტერის თანამგზავრი
64.ინგლ. მწერალი ივლინ ...
65. ციხე „გრაფ მონტე-კრისტოში“

90 მილიონი გირვანქა — შუქის გადასახადი



ბრიტანელმა ელისონ ტერნერმა, რომელიც კემბრიჯში ცხოვრობს, ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანია Npower-ისგან შუქის გადასახადის ქვითარი მიიღო. აქ გასაკვირი არაფერია, რომ არა თანხის რაოდენობა, რომელიც ქვითარზე იყო დაფიქსირებული — 90 მილიონი გირვანქა სტერლინგი! ასეთ თანხას ტერნერი იმ შემთხვევაში გადაიხდიდა, თუ მის სახლში შუქი უწყვეტად ენთებოდა 1900 წლის განმავლობაში. დიასახლისის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ მისი თქმით, კომპანიის მიმართ არანაირი დავალიანება არ აქვს და ელექტროენერგიაზე თანხას წინასწარ, ზედმეტად იხდის. Npower-ში შეცდომა მალევე აღიარეს და ქვითარი უკან გაიწვიეს. როგორც ამბობენ, ჯერჯერობით, არ არის დადგენილი, რამ გამოიწვია ასეთი შეცდომა, რადგან სპეციალური სისტემა უყენიათ, რომელიც მსგავს ფაქტებზე აფრთხილებს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

მოსწავლეს 38-წლიანი პატიმრობა ელის

კალიფორნიის ლას-ფლორესის სკოლა „ტესოროს“ რამდენიმე მოსწავლე სამართალდამცავებმა დააკავეს. მათ სკოლის კომპიუტერების გატეხვა, საგამოცდო დავალებების მოპარვა და ნიშნების გადაკეთება ედება ბრალად. ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელიც ქულების შეცვლაშია ეჭვმიტანილი, 38-წლიანი პატიმრობა ემუქრება. 18 წლის ომარ ხანი 69 კანონდარღვევაშია ბრალდებული, სხვებს კი 3-წლამდე ციხე ელით. როგორც სამართალდამცავები ამტკიცებენ, ხანი არაერთხელ შეიპარა სკოლის ტერიტორიაზე მოპარული გასაღებით და სკოლის მონაცემთა ბაზაში ნიშნებს ცვლიდა. თავდებით გათავისუფლებისთვის ბიჭმა 50 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

ავტომატური „ფეხები“ ზარმაცებისთვის

კონსტრუქციით მეტად ფანტასტიკური მოწყობილობა კომპანია „ჰონდამ“ წარმოადგინა. მიუხედავად იმისა, რომ მოწყობილობას უნარშეზღუდული ადამიანების დამხმარეს უწოდებენ, აშკარაა, მას აქტიურად გამოიყენებს სრულფასოვანი მომხმარებელიც. იმისთვის, რომ ამ კონსტრუქციით თქვენს გზაზე უზრუნველად და დაუღალავად მიაბიჯებდეთ, მხოლოდ და მხოლოდ, ღილაკზე თითის დაჭერა დაგჭირდებათ. „ფეხებში ძალას“ მუდმივი დენის ძრავების საშუალებით შეიგრძნობთ, რომელიც ლითიუმის ელემენტზე მუშაობს და ორი საათი ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, თავისუფლად შეგიძლიათ ისეირნოთ. სიარულისთვის კონტროლის უნიკალურ სისტემას გამოიყენებენ, რომელიც ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის გამოკვლევით შეიქმნა. რამდენიმე გადამცემი ფეხის დახრის კუთხესა და სასურველი სიჩქარის შესახებ ინფორმაციას გამუდმებით გადასცემს კონტროლის ცენტრალურ პროცესორს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	1							
			8	1		3		5
							4	
8				5			3	
	7	6	3		1	5	9	
	4			2				6
	8							
9		2		8	4			
							1	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

		9		4				
			1		7		5	
	3				5	9		
	1					3	6	
	6	3	7		4	8	2	
	9	8					4	
		6	5				3	
	8		6		1			
				2		5		

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	2							
			6			5	1	
		4			7		3	
	7		4					8
		9	8	3	1	7		
2					6		5	
	1		7			6		
	9	3			5			
							8	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

					9	7		
5		2		6				
	1		5			8		
	6		3			1		5
		7				3		
2		3			4		9	
		1			8		4	
				1		2		6
		4	9					

ფაფა ბავშვებისთვის მავნეა

პატარა ბავშვებისთვის ფაფა ყველაზე სასარგებლო კერძად მიიჩნევა და პატარების რაციონში ძირითადი საჭმელია, თუმცა ამერიკელი სწავლულები ეჭვქვეშ აყენებენ ამ საკვების მარგებლობას — პირველ რიგში, შაქრის რაოდენობის გამო. სტატისტიკის თანახმად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, წლის განმავლობაში ბავშვი, საშუალოდ, 4,5 კილოგრამ შაქარს იღებს, თუკი რეგულარულად მიირთმევს ფაფას, შაქრის ასეთი რაოდენობა კი საშიშია არა მხოლოდ ბავშვების, არამედ მოზრდილებისთვისაც. ორგანიზმში შაქრის დოზის გადაჭარბება ბევრი დაავადების განვითარებას უწყობს ხელს — ჭარბ წონას, შაქრიან დიაბეტს და სხვა. აღსანიშნავია, რომ მზა ფაფის უმრავლესობის შემადგენლობაში საშუალოდ 29%-ია შაქარი და თუ არ არის, კერძის მომზადებისას, მშობლები ამატებენ, საბოლოოდ კი, შესაძლოა, სავალალო შედეგიც მივიღოთ. სწავლულები ურჩევენ, ნაკლებად დაატკბონ ფაფეული, ხოლო თუ მას მზა სახით ყიდულობენ, სჯობს წინასწარ დარწმუნდნენ, რომ საკვები დასაშვებზე მეტი რაოდენობით შაქარს არ შეიცავს.

ძმარი – სუპერპროდუქტი

აშშ-ს კვების ტექნოლოგიების ინსტიტუტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძმრის გარკვეულ სახეობას შეუძლია ზოგიერთი სამკურნალო პრეპარატის ჩანაცვლება. ძმარი გაჯერებულია ანტიოქსიდანტებით, რომელიც პასუხისმგებელია დაბერების პროცესის შეფერხებაზე. ასევე ანელებს სიმსივნისა და ტვინის დეგენერაციული დაავადებების განვითარებას — ალცჰეიმერის, პიკისა და პარკინსონის დაავადებებს. გარდა ამისა, ძმარს ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც აქვს და ამცირებს ორგანიზმზე დიაბეტის გავლენის ხარისხს. აუმჯობესებს გულსისხლარღვთა სისტემას და აქვეითებს წნევას. აღსანიშნავია, რომ, თუ ძმარი ადამიანის კვების ყოველდღიურ რაციონში შედის, დროთა განმავლობაში ქვეითდება მადა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია გახდომის მსურველთათვის. ვაშლის ძმარი კარგი დამხმარეა ართრიტისა და პოდაგრას მკურნალობისას, აქვეითებს სისხლში შაქრის დონეს და აჩქარებს ცხიმების გადამუშავებას.

ახალი წამალი ეპილეფსიის წინააღმდეგ

მეცნიერები აპირებენ, უახლოეს ათი წელიწადში წარმოებაში ჩაუშვან ახალი პრეპარატი, რომელიც ეპილეფსიით დაავადებულებს დაეხმარება. ამჟამად მთელ მსოფლიოში 50 მილიონამდე ადამიანია ეპილეფსიით დაავადებული, მათი 70% დადებითად რეაგირებს ანტიეპილეპტიკურ პრეპარატებზე, რომელსაც 2-5 წლის განმავლობაში იღებენ. ამის შემდეგ ბავშვების 70 და მოზრდილების 60%-ს შეუძლია შეწყვიტოს მათი მიღება. ის პაციენტები კი, რომლებიც არ რეაგირებენ მკურნალობაზე, ოპერატიულ ჩარევას ირჩევენ. ბრიტანელი მკვლევარები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მიერ შემუშავებული ანტიკონვულსანტი რეზისტენტული ეპილეფსიის მქონეთ დაეხმარება. ეს ინოვაციური კვლევა, რომელიც ჯერ მხოლოდ მღრღნელებზე ჩატარდა, ტვინის უჯრედებს უფრო მგრძნობიარეს ხდის გარკვეული ნაერთის მიმართ. ამჟამად მძიმე კრუნჩხვას მკურნალობენ პრეპარატით, რომელიც ახშობს თავის ტვინის ყველა უჯრედის აღგზნებას, რაც უარყოფით ეფექტსაც იწვევს. ბრიტანელი სწავლულები იმედოვნებენ, რომ მომავალი ათი წლის განმავლობაში შეძლებენ კლინიკებში მკურნალობის ახალი მეთოდის დანერგვას მოდიფიცირებული ვირუსის ერთადერთი ინექციის მეშვეობით.

უნიკალური ინექციები გახდომისთვის

ინექცია, რომელიც ტვინს აიძულებს, იფიქროს, რომ სხეული დანაყრებულია, უკვე მიიჩნიეს მსუქანი ადამიანების მხსნელად. ის „მადის ჰორმონის“ მსგავსად მოქმედებს, რომელიც სხეულში რამდენიმე საათი ჩერდება. ასე მიიღწევა კარგად დანაყრების ეფექტი. სავარაუდოდ, ახალი პრეპარატი ხელმისაწვდომი უკვე წლის ბოლომდე გახდება. ინექციის გაკეთება კი დღეში ერთხელ იქნება საჭირო და როგორც მისი შემქმნელები აცხადებენ, ეს საკმარისი იქნება გახდომისთვის. საინექციო მასალის საფუძველი ლირაგლუტიდია, რომელიც არა მხოლოდ უგზავნის ტვინს დანაყრების სიგნალს, არამედ აქვეითებს წნევას, ამცირებს დიაბეტის განვითარების რისკს და ალცჰეიმერის დაავადების პროგრესირებასაც კი აფერხებს. როგორც ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, რომელთაც ლირაგლუტიდის ინექციები დღეში ერთხელ, საუზმის წინ უკეთდებოდათ, წელიწადში საშუალოდ 8,6 კილოგრამი დაიკლეს, კვლევაში მონაწილე ქალების მესამედმა კი 10,4 კილოგრამის მოკლებაც შეძლო. მთლიანობაში, პრეპარატი 4 ათას მამაკაცსა და ქალზე გამოსცადეს ერთი წლის განმავლობაში და უმრავლესობას წელის გარშემოწერილობა 5 სანტიმეტრით შეუმცირდა. აღსანიშნავია, რომ ლირაგლუტიდი უკვე იყიდება, როგორც ანტიდიაბეტური საშუალება.

ტელეკომპანია „თრიალეთი“



რეკლამა „თრიალეთზე“
დაგვიკავშირდით

გართოება

1.ზიარებისთვის განკუთვნილი ლიტურგიული პური
2. თხევადი წამლის ამოსაღები მილაკი
3.ქართველ ქალთა ცეკვა
4. ბადაგით და ფქვილით მოხარშული ფაფა
5. დროის მაჩვენებელი ხელსაწყო
6. ყველაფრის სარგო წამალი
7. ბოსტნეული
8. ბანქოს ფიგურა
9.მოზაიკაში ხმარებული ფერადი მინა
10. ასტრონომიული კუთხე
11. ქართველი კინომსახიობი ქალი
12.მუსლიმ. ლოცვა, რომელ. დღეში 5-ჯერ ასრულებენ
13. ურმების ქარავანი
14. საბრძოლო მანქანა
15. იგივეა, რაც ინტუიცია
16.ნიგერიის დედაქალაქი
17.ვიოლონოების იტალ. ოსტატი
18. ჭრილი ბილიარდის მაგიდის კიდეზე
19. მანძილი გაშლილი საღოკი თითის წვერიდან ცერის წვერამდე
20. დაბალზამებული გვამი
21. საოპერო პარტია
22. საუდარაკო „მუქარა“
23. ინდონეზიის კუნძული
24.ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობიდან
25.მწერალ ბარნოვის სახელი
26. დიდი თევზსაჭერი გემი
27. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე
28. ვაზის ავადმყოფობა, ნაცარი
29. ყანის მავნებელი მწერი
30.სინათლის ძალის საზომი ერთეული
31. ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი
32.ხალიჩის ძველი ქართული სახელწოდება
33. ლატვიის დედაქალაქი
34.ფართობის საზომი ერთეული ინგლისში
35. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ ციმბირში
36.საბერძნ. დედაქალაქი
37.ჰიგ. პირობ. გაუმჯობესება
38.ალანეტა იუპიტერის ძველქართული სახელწოდება
39. მსახიობი ... დელონი
40. მტკიცე პირობა, აღთქმა
41.ერთად დადგმული რამდენიმე ურემი ძნა
42. მელას სახელი „ოქროს გასაღებში“
43. თავაშვებული ქეიფი, ღრეობა
44.მუსლიმანთა სასწავლებელი
45.სარძ. ჯერკ. შემსწ. მეკნ.
46 .ე. წ. „მცირე ფორმების“ ხელოვნება
47.პატიოსანი თვლების ზოგადი სახელი
48.ასტრიდ ლინდგრენის ქალიშვილობის გვარი
49. უკუზო აქლემი
50.ჯულია რობერტსის კინოგმირი ... ბროკოვიჩი
51. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
52. მიმართვა ინგლისელი ქალბატონისადმი
53.დასვენება პარასკევ სღამოდან ორშაბათ-დილამდე
54. ჯერკვლოვანი ორგანოების კეთილთვისებ. სიმსივნე
55.ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში
56. ჩვილი ბავშვის საწოლი
57. სასახლე - იტალიაში
58. ბოჭკოვანი მცენარე
59. იგივეა, რაც ლარნაკი
60. წიწვოვანი ხე
61. გახმობისას დაბრეცილი ფიცარი
62. მუსიკალური გამის III ნოტი
63.ქართველთა მეფე-ქალი
64.ხეობა კასპის რ-ში
65. მოცარტის ოპერა „... ჟუანი“
66.გრძელყელიანი გოგრის ჯიში
67. აფრიკის ქვეყანა ...-დ'ივუარი
68. ერთი ასურელი მამა ... მღვიმელი
69.არარატის სომხ.სახელწ.
70.დიდი თითი
71. ავადმყოფობის განვითარების უმაღ. მწვერ.
72. ჰოლივუდის მსახიობი ... ნოლტი
73.კოკაზე მაღალი ქულა ძიუდოში
74. ტოკიოს ძველი სახელწოდება
75. პორტუგალიელი მოგზაური ... და გამა
76. თევზის საჭერი ლასტის - ფაცერის სახესხვაობა
77. ბგერის გრაფიკული ნიშანი
78.საუდის არაბეთის დედაქალაქი ...-რიადი
79. იტალიელი ნობელიანტი დრამატურგი
80. „გაზაფხული შემოსულა, ...!“
81. ჟიულ ვერნის ერთ-ერთი კაპიტანი
82. ტროპიკული ხილი
83. „ქვინის“ გიტარისტი ბრაიან ...
84. ქალაქი საფრანგეთში
85.ამერიკული ტელესერიალი უცხოპლანეტელზე
86. დიონისეს აღმზრდელი
87. ჭაობის მცენარე

მარტოხელებს სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებიან

ირანის სახელმწიფო ენერგეტიკულმა კომპანიამ ყველა თანამშრომელს, ვისაც ცოლი ან ქმარი არ ჰყავს, სამსახურიდან დათხოვნის მუქარით, დაოჯახება დაავალა და ოჯახის შესაქმნელად სამი თვის ვადა მისცა. ვინც სექტემბრამდე ცოლის მოყვანას ან გათხოვებას ვერ შეძლებს, კომპანიიდან გაათავისუფლებენ. Pars Special Economic Energy Zone-ში ათასობით ადამიანი მუშაობს სპარსეთის ყურის სანაპიროდან. მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა დასაოჯახებელი. კომპანიის ხელმძღვანელობა ამ სახით ცდილობს, უარი ათქმევინოს მათ მეძავების მომსახურებაზე, რომლებიც დანესებულების შენობასთან იყრიან თავს. აღსანიშნავია, რომ მანამდე ირანის ერთ-ერთი აღმოსავლეთ პროვინციის გუბერნატორმა განაცხადა, რომ სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ დაოჯახებულ ადამიანებს მიიღებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.